ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებელი საქართველო

1926 წ. ნოემბერი.
№ 11.
ფასი 2 ფრ.

La Géorgie Indépendante -
Édition mensuelle
1926. — NOVEMBRE N 11
Prix : 2 fr.

საქართველოს პოლიტიკური პარტიების საერთო ორგანო.

მოსკოვის საგარეო პოლიტიკა.

მოსკოვის საგარეო პოლიტიკა შეიძლება გაიყოს ორ ხანად: რომანტიული და შერეული. პირველის სათავე სამხედრო კომუნიზმია (1917—1921), მეორის—ნეპი (1922—1926).

საყოველთაო ნგრევისა და გლეჯის დროს, როცა მებრძოლი ბოლშევიზმი მთელი ხალხის სახელმწიფო ულუფაზე (პაიკებზე) გადაყვანას ლამობდა, გარეთ მას მარტოოდენ მსოფლიო რევოლიუცია ეზმანებოდა. ამის და მიხედვით მოსკოვი სწყვეტს დიპლომატიურ დამოკიდებულებას უცხო სახელმწიფოებთან, ერთის დაკვრით აბათილებს მათთან დადებულ ხელშეკრულებათ და ვალებს, აქვეყნებს საიდუმლო დიპლომატიურ მიწერ-მოწერას.

მართალია, ამავე დროს მოსკოვი ყლაპავს ერთი-მეორეზე უმწარეს აბებს ვილჰელმის ღენერლის ხელიდან: რუსეთს ჩამოშორდა ფინლანდია, მთელი ბალტიკა, პოლონეთი, უკრაინა, კავკასია. მაგრამ ყველა ეს ხომ უბრალო მოჩვენება იყო, რომელიც იმ წამსვე უნდა გამქრალიყო, როგორც კი დაიყივლებდა დასავლეთში წითელი მამალი.

პირველ ორ-სამ წელიწადს ასე გეგონებოდათ, მოსკოვის პროგნოზი სწორი იყო. დიდი ომი დამთავრდა, იფეთქა რევოლიუციამ დამარცხებულ ქვეყნებში, ბავარიასა და უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა, ბერლინში, ჰამბურგში და სხვაგან ბარიკადებზედ იბრძვიან. მოსკოვის საგარეო კომისარიატი ამ დროს მხოლოდ სახელით არსებობს, საქმით კი გზავნის ცეცხლის წამკიდებელთ ყველგან, სადაც ადვილათ ასანთები მასალა ეგულება.

პასუხად გამარჯვებული სახელმწიფოები სამხედრო ინტერვენციას აწყობენ, მაგრამ ბოლშევიზმი სძლევს მეფის ღენერლებს და იბრუნებს ჯერ უკრაინას, შემდეგ კავკასიას.

ეს დრო «გმირულ» ხანად ითვლება ბოლშევიზმის მატიანეში. მოსკოვი უკუაგდებს საიდუმლო დიპლომატიას, ის დეკრეტებით, პროკლამაციებით და უმავთულო «ვსემ, ვსემ, ვსემ»-ით ელაპარაკება, ბურჟუაზიულ მთავრობათა ზედან, მსოფლიო პროლეტარიატს და მოუწოდებს აჯანყებისაკენ.

მაგრამ ცენტრალურმა ევროპამ სძლია რევოლიუციურ სტიქიას, ერთმა ის პოლიტიკურ, მეორემ ეროვნულ თავისუფლების მოსაპოებლათ გამოიყენა, ხოლო, სადაც საბჭოთა ხელისუფლება იგემეს, იქ გაიმარჯვა გაშიშვლებულმა რეაქციამ. თვით რუსეთშიც სამხედრო კომუნიზმმა მოსჭამა დრო, დაგროვილი სიმდიდრე დატაცებულია, ბურჟუაზია—მოსპობილი, იწყება გლეხთა მოძრაობა რეკვიზიცია-ეგზეკუციის წინააღმდეგ, კრონშტადის აჯანყება.

ბოლშევიზმი გადადის ნეპის ხანაში. მოსკოვი იკაზმება, ფერ-უმარულს იცხებს გამურულ სახეზე, ეძებს «საერთო ენას» ბურჟუაზიულ ქვეყნებთან. ამის და მიხედვით, ჩიჩერინი და მისი ამალა ფრაკებს იზმანებენ, გამოდიან დიპლომატის როლში, მაგრამ, რადგან თვითონ მეტათ რეგვენი არიან ამ დარგში, იწვევენ დახოცვისგან გადარჩენილ ძველ მოხელეთ და ალადგენენ მეფეთა საგარეო პოლიტიკას ახალ ჰანგებზე.

ეს იყო ერთგვარი დათმობა—ლენინმა მას «პერედიშკა» უწოდა—, შექმნილ უმწეო მდგომარეობით გამოწვეული. ერთის მხრით, მოსკოვი საჭიროებს უცხო კაპიტალისტების დახმარებას, მეორეს მხრით, ის ვერ ეთხოვება თავის ოცნებას პირქვე დაამხოს კაპიტალიზმი. ის ახდენს შრომის განაწილებას: დიპლომატიას ანდობს საგარეო კომისარიატს, ხოლო რევოლიუციის მოწყობას—კომინტერნს, და ორივეს კი ხელმძღვანელობს პოლიტბიურო. მას აქეთ მოსკოვი გამოიყურება ორი სახით: ერთია მომღიმარი, თავაზიანი, უწყინარი; მეორე—ბანჯგვლიანი, დაუნდობელი, ვერაგი. არას დროს დიპლომატიას არ მიუღწევია ცინიზმისა და მატყუარობის იმ ხარისხამდე, რომელზედაც იგი აიყვანეს კრემლის ჯიელებმა.

უნდა ითქვას, პირობები ერთობ ხელსაყრელი იყო ამისათვის ირგვლივ. ხუთი წლის დიდმა ომმა საშინელ მდგომარეობაში დასტოვა დიდი და პატარა სახელმწიფოები. ყველგან გაღარიბება, წარმოებისა და ვაჭრობის დეზორგანიზაცია, უზომო დავალიანება, უმუშევრობა, პირწავარდნილი სპეკულაცია. ამას ზედ დაურთეთ მოწამლული ატმოსფერა, რომელშიდაც უხდებოდათ ნორმალურ დამოკიდებულების აღდგენა გამარჯვებულ და დამარცხებულ ქვეყნებს, სხვა არ იყოს რა, დახოცილთა და დახიჩრებულთა მილიონებმა ძნელათ ამოსავსები ორმო გასთხარეს მათ შორის.

ასეთ პირობებში, რა გასაკვირია, რომ მოსკოვი ცდილობს დაუპირდაპიროს ერთი ერი მეორე ერს, ერთი კლასი მეორე კლასს; ის შედის დიპლომატიურ დამოკიდებულებაში სხვა და სხვა სახელმწიფოებთან და იმავე დროს ინახავს კომუნისტურ პარტიებს უკანასკნელთა დასანგრევათ; დიპლომატიური ექსტერიტორიალობა და კურიერები იმიტომ არსებობენ, რომ ფული და რევოლიუციური ლიტერატურა ზიდონ და არიგონ; თვით ელჩები სტატისტებად არიან ქცეული, რომ მათ ზურგს უკან ჯოჯოხეთის მანქანები ამზადონ ჩეკისტებმა.

საბჭოთა მთავრობა იცნო მეტმა წილმა სახელმწიფოებისა. ერთმა იმიტომ, რომ ბოლშევიზმის გახანგრძლივებით დაუძლურებია რუსეთი; მეორე ფიქრობდა მეზობელზე შთაბეჭდილების მოხდენას; მესამე ფართე ასპარეზს უხსნიდა თავის სპეკიულანტებს რუსეთში; მეოთხე ბაძავდა პირველ სამს და ასე ბოლომდე. გადამწყვეტი ყველა ამ შემთხვევებში მაინც ის იყო, რომ რეჟიმი არსებობდა წლეები და ხმელეთის მეექვსედი მთლად უყურადღებოთ ვერ დარჩებოდა. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა ერთხელ: ჩვენ არ ვთაკილობთ კაც-ჭამიებთან ვაჭრობას, მაშ რად უნდა ვერიდოთ ბოლშევიკებთან დამოკიდებულებასო.

მოსკოვს კიდევ თავისი ანგარიშები ჰქონდა. გარდა მსოფლიო რევოლიუციისა, მას ადარდებდა განადგურებულ მეურნეობის აღდგენა, ამისათვის სესხის მიღება, კონცესიების გაცემა. რამდენათ გაიქარვა მან ეს დარდი, უკვე ვიცით. უცხოეთი არ იძლევა სესხს, სანამ ძველი ვალები წაშლილია დეკრეტით; ის ვერ ჩადებს თანხებს რუსეთის წარმოებაში, სანამ სათანადო გარანტიები არ არსებობს. არის, რა თქმა უნდა, გამონაკლისიც: სპეკიულანტები, ადვილათ გამდიდრების მოტრფიალენი, ვაჭრობენ რუსეთთან ნაღდზე, იღებენ ზოგ კონცესიებს ვირის ფასად, მაგრამ ეს ვერ შველის საქმეს, ამით ფონს ვერ გავა ვეება სახელმწიფო.

მოსკოვი ვერას გახდა გუშინდელ მტრების შუღლის მის სასარგებლოთ გამოყენებაშიც. ყველაზე დამახასიათებელია ამ მხრივ გერმანიის ევროპისგან გამოთიშვის და მასთან მჭიდრო კავშირის მისწრაფება იყო. რა ხერხს არ მიმართავდა ამისათვის მოსკოვი, რამდენი ქათინაური, რამდენი მუქარა, არ ერიდებოდა იუნკრებთან ბლოკსაც დემოკრატიის წინააღმდეგ... ამაოთ, გერმანიამ დასავლეთისკენ იბრუნა პირი. რაპალოსა და ბერლინის ხელშეკრულებანი მან გამოიყენა იმისთვის, რომ უფრო ძვირათ გაეყიდა თავისი ლოიალობა დასავლეთის მიმართ.

ასევე მოუვიდა მოსკოვს ოსმალეთთან. უკანასკნელი იყენებდა რუსეთის «მეგობრობას» ინგლისთან დავის დროს, ომის შემდეგ. ყველა მუხლებში მორიგდენ ისინი ლოზანაში, დარჩა მხოლოდ მოსულის კითხვა და ეხლა ესეც მოწესრიგებულია. ოსმალეთს აგონდება, რომ მან ლოზანაში დაპირება გააკეთა ერთა ლიგაში შევალო და ალბათ კიდეც შეასრულებს მას, მიუხედავათ მოსკოვის უკიდურესი წინააღმდეგობისა.

ჩვენ მივადექით მოსკოვის მუშაობას აზიაში, სადაც ის რევანშის აღებას ფიქრობს ევროპაზე, განსაკუთრებით ინგლისზე. ის სდებს მეგობრობა-ნეიტრალობის ხელშეკრულებას ოსმალეთთან, სპარსეთთან, ავღანისტანთან; ლამობს ინდოეთისა და ჩინეთის «განთავისუფლებას»! ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ წითელ იმპერიალიზმის ამ ჭაპან-წყვეტას, ბრძოლის მოგება ამ ხაზზეც უიმედოა.

დავასკვნათ. იურიდიულმა ცნობამ ვერ უშველა მოსკოვს. ამ აქტმა, პირიქით, საშუალება მისცა უცხოეთს მეთვალყურენი გაეჩინა მოსკოვში და ახლო გაეცნო მისი ორმაგი ბუხჰალტერია. ევროპის ფართე მასებიც, მიუხედავათ ეგრ. წოდ. მუშათა დელეგაციებისა, თვალებს ახელენ. გარკვეული არიან შინაც. სოფელი აწვება ქალაქს, კერძო საკუთრება—სახელმწიფო მეურნეობას, ცხოველი პრაქტიკა—გახუნებულ თეორიას. ეგრ. წოდ. ოპოზიცია უკანასკნელი ამოსუნთქვა იყო პირველყოფილ რომანტიზმისა, ის დამარცხდა და სხვაგვარ არც შეიძლებოდა—ისტორია არ მეორდება.

ევროპაში მაგრდება რწმენა, განსაკუთრებით ლოკარნოს ძალაში შესვლის შემდეგ, რომ ფუჭია და მავნე სეპარატიული შეთანხმება მოსკოვთან და პირ[illegible] აუცილებელია კოლექტიური გამოსვლა დაწინაურებულ ქვეყნებისა წინასწარ შემუშავებულ ერთნაირი მოთხოვნებით მოსკოვის წინაშე.

მოსკოვი შედის დიდი გადატეხვის ხანაში, რომელიც მესამე იქნება რიცხვით. შესძლებს თუ არა სტალინის ჯგუფი გაარღვიოს ზღუდეები, ამართული ცხოვრებასა და მის შორის? შესცვლის თუ არა ის დღევანდელ ტლანქ და ორპირ საგარეო პოლიტიკას საყოველთაოთ მიღებულზე? კომპარტიის მე-15 კონფერენცია თითქოს ამის იმედს არ იძლევა. სტალინის ჯგუფი ისე ადვილათ ვერ გადააბიჯებს აპარატჩიკებს, რომელნიც წურბელივით სწუწნიან იმპერიის დაავადებულ სხეულს.

მაშ რა დარჩენია მას? მარცხნივ დაიხიოს, კისერს მოიგრეხს—ცხოვრება მასზე ძლიერია; მარჯვნივ გაექანოს, იგივე მოელის—«საბრძანებლო სიმაღლენი» ჩაინგრევიან! სწორეთ ამ მოჯადოებულმა წრემ შექმნა ოპოზიცია. მასზე გამარჯვებამ კიდევ უფრო შეკუმშა მართველი წრე. კოლეგიალური დიქტატურა პიროვნულ სახეს იღებს, სტალინი «მუჟიკების დიქტატორის» სახელს იხვეჭს უცხოეთში, უკვე ვრცელდება ხმები, რომ ის დათმობებს გააკეთებს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაშიო. სტალინი ბონაპარტის როლში!

კრემლის მედროვენი, უეჭველია, არ დასთმობენ რევოლიუციურ ფრაზეოლოგიას, მათი კომინტერნი უზინოვიევოთაც ბევრს იტრაბახებს, მაგრამ საქმით ისინი მართლა გახდებიან იძულებული ქედი მოიხარონ უცხოეთის წინაშე. როგორც შედეგი, კიდევ უფრო გამწვავდება წინააღმდეგობა ეკონომიურ შინაარსსა და პოლიტიკურ ფორმას შორის, ბურჟუაზიულ მეურნეობასა და კომუნისტურ ტირანიას შორის.

ცხადია, ვინ გაიმარჯვებს. ტირანები ნებით არ დასთმობენ ძალა-უფლებას, ხიშტზე წამოსკუპულნი ხიშტზევე წამოენცობიან. ეს დროც არაა შორის.

ბრძოლა მემკვიდრეობისათვის

რუსეთის კომუნისტური პარტია ირღვევა. ლენინის მიმდევართა ფოლადისებური დისციპლინა, რაც საფუძვლად დაედო ოქტომბრის დიქტატურას, სამუდამოთ გაქრა. ძმა ძმის წინააღმდეგ ამხედრდა, ერთი მეორეს საბჭოთა ეკლესიის პრინციპების ღალატს უკიჟინებს და მით საერთო ძალღონით აგებულ შენობას თვითვე ანგრევენ.

თვალი გადაავლეთ საბჭოთა პრესას და თქვენთვის აშკარა იქნება, რომ ლენინის «კომუნისტური» კოშკი ნამდვილი ბაბილონის გოდოლი აღმოჩნდა. დღეს აღარავინ იცის, სად თავდება სტალინის აპარატი და სად იწყება ოპოზიცია. ბოლშევიზმის ნამდვილი მეთაურები ზინოვიევი და კამენევი, ოქტომბრის გადატრიალების მთავარი გმირი ტროცკი, რადეკი, პიატაკოვი და სხვები უცებ ოპოზიციაში აღმოჩნდენ და სტალინის დიქტატურას ებრძვიან. მათ მიერ შექმნილი დესპოტიური რეჟიმი ახლა მათთვისავე აუტანელი შეიქნა და უნებლიეთ მის დანგრევას ეხმარებიან. მართალია, დროებითი გამარჯვება წილათ ხვდა სტალინის აპარატს, მაგრამ ეს ხომ პიროსის გამარჯვებაა. პარტიაში შეხლა-შემოხლამ დაჰკარგა თავისი წინანდელი ხასიათი, როცა კომუნისტურ სექტის წევრები ლენინის მიერ შექმნილ დოგმაზე კამათობდენ. ბრძოლამ უკვე გადმოხეთქა კომუნისტურ პარტიის კედლები. დღეს არა ხვალ მებრძოლი ჯგუფები იძულებული გახდებიან ამა თუ იმ გზით კარი გაუღონ თვით ხალხის ამოძრავებას და მით დააჩქარონ საბჭოთა რეჟიმის ლიკვიდაცია.

რას გვიქადის ეს ბრძოლა? საითკენ მიაქანებს ის საბჭოთა კავშირს?

ოპოზიცია განადგურდება, სტალინი გაბატონდება და ის ძალაუნებურათ და თან მშვიდობიანი გზით მთლიან რუსეთს დემოკრატიის სამეფოში შეიყვანს—ასე ოცნებობს პ. მილიუკოვი და მას აღტაცებით ეგებება რუს ემიგრანტთა საგრძნობი ნაწილი.

ფუჭი იმედია! უნიადაგო ოცნება! აბა ვის გაუგონია აღმოსავლეთის დესპოტიის ევოლიუცია?! ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს, ხოლო ვინ არ იცის, რომ კომუნისტური დიქტატურა ჯერ არსად ნახული დესპოტიის გამეფებაა. ცეცხლით და მახვილით დაფუძნებულ რეჟიმის ბოლო ერთია: ის მახვილითვე განადგურდება.

ბოლშევიზმი მთელი თავისი არსებით დემოკრატიას უარყოფს. ის არა თუ ვერ ითმენს სხვა პოლიტიკურ პარტიის არსებობას, ის თავის პარტიის კედლებშაიც კი აზრთა თავისუფლებას უარყოფს. მთელი ერი ბოლშევიზმს ემორჩილება, ხოლო თვით ბოლშევიკური პარტია სტალინის კარნახს ასრულებს და მის დეკრეტებს ლენინის დოგმათ ასაღებს! ასე ჩამოქვეითდა რუსული კომუნიზმი.

მაგრამ როგორც შეუძლებელია მთელ ხალხს ერთი თავი გამოაბათ, ისევე შეუძლებელია სოციალურათ ჭრელი ბოლშევიკური პარტია სტალინის «აზროვნებას» დაუმორჩილოთ. ასეთ პირობებში აბა ვის ძალუძს პოზიცია-ოპოზიციის მორიგება და ერთ სუფრის გარშემო კვლავინდებურათ შემოკრება? საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობა მათ სხვადასხვა სოციალურ წრის ინტერესთა დაცვისაკენ მიერეკება. ამიტომაც შეიძლება ტროცკი და ზინოვიევი სტალინმა წამოაჩოქოს და «საბოლოო გამარჯვება» იდღესასწაულოს. მაგრამ ამ გზით გაბზარული პარტია ვერ გამთელდება, ოპოზიცია ვერ ჩაკვდება და ის ახალ მეთაურებს წარმოშობს. პარტიის დანგრევა ისტორიული აუცილებლობა შეიქნა.

ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივია, რომ ბოლშევიზმის მემკვიდრეობა აქტიურათ მოქმედ ელემენტების ხელში დარჩება. მოლაყბე ლიბერალიზმის საქმე წაგებულია. ამიტომაც არის ამოძრავდენ რუსეთის მონარქისტები და კვლავინდებურათ რუსეთის იმპერიის დროშა ააფრიალეს. მთლიანი და განუყოფელი რუსეთი—ასეთია მათი გზა.

მდინარე აღმა ვერ წავა, ისტორიის ჩარხი უკან ვერ დატრიალდება, ძველი რუსეთის იმპერია ვერ გამთელდება. მოუხერხებელია გლეხთა ხელში გადასულ მიწა-წყლის კვლავ მემამულეთათვის გიდაცემა, ისევე შეუძლებელია გათვითცნობიერებულ ერთა ძველ ბორკილებში ჩაჭედა. საბჭოთა კავშირის შემადგენელ ნაწილებათ დარღვევა და ერთა თვითგამორკვევის განხორციელება აუცილებელი შეიქნა.

საკმარისი იყო მსოფლიო ომის ტალღებით რუსეთის იმპერიის შენძრევა, რომ რევოლიუციის ქარტეხილში იმპერიას გამოეყვენ უფრო გათვითცნობიერებული ერები, ვინემ ეს არის ველიკოროსიის ხალხი. ამ ერებისაგან ერთი ნაწილი, რომელსაც გეოგრაფიული მდგომარეობა ევროპასთან მჭიდროთ აკავშირებდა, როგორიც არიან ბალტიის სახელმწიფონი, დღესაც თავისუფალი არიან, ხოლო კავკასიის სახელმწიფონი წითელმა იმპერიალიზმმა დროებით ისევ დაიმორჩილა.

მაგრამ დგება დესპოტიის განკითხვის დღე. ეს არის ამავე დროს ჟამი რუსეთის იმპერიალიზმის დამსხვრევის. ამას ნათლათ გრძნობენ თვით ბოლშევიკებიც. სწორეთ მათი ეკონომიური საქმიანობით სავსებით მოიშალა ის საფუძველი, რომელიც ძველი იმპერიის ერებს, ავათ თუ კარგათ, ეს სხვა საქმეა—ერთი მეორესთან აკავშირებდა. ბოლშევიზმი სულს უხუთავს მთელ ხალხს, ამავე დროს მათივე ხელით ველიკოროსია სძარცვავს სხვა ერებს და ლამობს თავის კოლონიათ გადააქციოს. რუსეთის იმპერიალიზმი საბოლოოთ გაშიშვლდა და მის წინააღმდეგ არა რუსთა თვით კომუნისტური ელემენტებიც კი ირაზმებიან. ბოლშევიკები უკვე ვერ მალვენ იმ გარემოებას, რომ უკრაინის კომუნისტურ პარტიის საგრძნობი ნაწილიც კი ევროპისაკენ იცქირება და მოსკოვისაგან სრულ ჩამოშორებას მოითხოვს. აბა რაღა უნდა ითქვას საქართველოსა და კავკასიის სხვა რესპუბლიკათა ან და თურქესტანის შესახებ, სადაც ბასმაჩების მოძრაობამ მუდმივი და გარკვეული ანტირუსული სახე მიიღო.

ბოლშევიზმმა ჩაკლა დემოკრატია ველიკოროსიის ფარგლებში, მაგრამ ვერ მოსპო და არც შეეძლო მოესპო დაჩაგრულ ეროვნებათა ამოძრავება. მით უარესი რუსეთის იმპერიის რესტავრაციის მოტრფიალეთათვის!

საკმარისია, ბოლშევიკური დიქტატურა შეირყეს, და დამორჩილებული ერები ფეხზე წამოდგებიან და დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკებს განამტკიცებენ: აქ სრულიად უმნიშვნელოა წითელ თუ შავ დიქტატურის მოტრფიალეთა ბანაკი. მონარქიისა და ფაშიზმის საქმე წაგებულია.

სულ სხვაა ველიკოროსიის მდგომარეობა. ის მოკლებულია ეროვნულ აღფრთოვანებას, აქ ჩაკლულია დემოკრატიის თვიმოქმედება, ხოლო საბჭოთა კავშირის დარღვევის საფრთხე ისედაც სუსტ დემოკრატიულ პარტიებს კიდევ უფრო აუძლურებს და ბოლშევიკთა მაჩანჩალათ გადაქცევას უქადის. და აი ბურთი და მოედანი ჯერჯერობით მაინც რჩება მონარქისტულ-ბონაპარტისტულ წრეებს, რომელთა მიდრეკილება მოახდინონ სოციალურ-პოლიტიკური რესტავრაცია ველიკოროსიას ანარქიის ახალ ტალღის აღძრავებით ემუქრება. ეს კიდევ უფრო აძლიერებს დამორჩილებულ ერთა ჩამოშორების ლტოლვას და აჩქარებს საბჭოთა კავშირის დანგრევას.

ბოლშევიზმი საბოლოოთ გაიხრწნა. ბრძოლა მემკვიდრეობისათვის უკვე გაჩაღდა.

დიქტატურა ეცემა. დემოკრატიის გავლენა იზრდება. ძველი იმპერია შემადგენელ ნაწილებათ უნდა დაირღვეს. ფხიზლათ, მოსკოვის მიერ დამორჩილებულო ერებო! ახლო მომავალი თქვენია!

ნ, რამიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ფარსმან მეფე ივერიისა».

(ტრაგედია ქ. დე-კრებიონისა «რადამისტ და ზენობე»).

ეხლანდელი საქართველო ებრძვის რუსეთის იმპერიალიზმს. იყო დრო, როცა იგი ებრძოდა რომის იმპერიალიზმს, შეუდარებლად უფრო ძლევამოსილს და უფრო სახელოვანს.

ჩვენ მადლობელი უნდა ვიყოთ საფრანგეთის პოეტის ჟოლიო დე-კრებიონისა: მან მიაყენა შუქი თავის გენიალობის საქართველოს ისტორიის ამ სახელოვან ხანას, გაარღვია ბურუსი, დაგვანახა მაშინდელი სახე ქართველი ერის და გვაგრძნობინა ის გმირული სული, რომელიც ჰბერდა და აცხოველებდა მაშინ მის მშვენიერ მთა და ბარს.

ეს ხანა იყო პირველ საუკუნეში, როცა საქართველოს ტახტზე იჯდა მეფე ფარსმან პირველი 35-70 წ. ქ. შ.

რა იყო მაშინ საქართველო?

ტერიტორიალურად საქართველო თითქმის იგივე იყო, რაც ეხლი არის. მხოლოდ დედა-ქალაქი იყო არტანისი (არტაანი). მაშინდელ საქართველოს, ზურგ-გამაგრებულს შავი ზღვით და კავკასიონის ქედით, დიდი საშიშროება არ მოელოდა არც დასავლეთით, არც ჩრდილოეთით,—მაშინ რუსეთი არ არსებობდა და იქ მობინადრე ველური ხალხი არ იყო საშიშარი. ხიფათი მოსალოდნელი იყო უფრო სამხრეთით: აქედან აწვებოდა საქართველოს დიადი ძალა რომის იმპერიისა. არტანისს, როგორც სიმაგრეს, ეჭირა შუა-გული ამ ვრცელი ფრონტისა და ერთნაირად შეეძლო დაცვა ორივე ფლანგის—აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოსი. აი ამ დედა-ქალაქში იყო გამაგრებული ფარსმან პირველი და გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა რომის იმპერიალიზმის განვითარებას აზიაში.

ფარსმან კარგად ხედავდა, რომ სომხეთის ტახტს ჰქონდა დიდი მნიშვნელობა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ამიტომ ცდილობდა ან სულ დაეპყრო სომხეთი და შემოერთებინა იგი საქართველოსათვის, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ჰყოლოდა მანდ მეფედ თავისი ახლო ნათესავი. ამიტომ ჯერ სომხეთის ტახტზე იჯდა ფარსმანის ძმა, მიტრიდატი, შემდეგ ფარსმანის შვილი რადამისტი. პირველი მოკლული იქმნა, მეორე—განდევნილი სომხეთიდან. მე არ ვიცი ისტორია და ვერ ვიტყვი, თუ რამდენად ერია ფარსმანის ხელი მისი ძმის მკვლელობაში, მაგრამ ერთი რამ ეჭვს გარეშეა: თვით ფარსმან იმდენად გატაცებული იყო სამშობლოს სიყვარულით, მისი დამოუკიდებლობის გამაგრების ფიქრით და ნებისყოფით, რომ ის არ ზოგავს არავის, არც ძმას, არც შვილს, და ულმობელად ახრჩობდა ყველას, ვინც კი მომხრე იყო რომის და ჰღალატობდა საქართველოს (სახეში მაქვს პიესაში აღებული ხანა). ამიტომ საფიქრებელია, რომ მან ჯერ მოაკვლევინა თავისი ძმა, მიტრიდატი, მერე განდევნა სომხეთიდან თავისი შვილიც, რადამისტი, რადგან იმასაც ედებოდა ბრალი რომთან დაახლოებისა. ამ მაგალითებიდან ფარსმან დარწმუნდა, რომ პოლიტიკურად ძალიან სანდო არავინ არის, არც ძმა, არც შვილი, და გადასწყვიტა თვითონ დაეჭირა სომხეთის ტახტი. ამ განზრახვით აამუშავა თავისი მალული ძალა თვით სომხეთში მომხრეების მოსაპოებლად (ეხლანდელი ენით რომ ვსთქვათ: გასწია პროპაგანდა თვით სომხეთში) და დაიწყო საქართველოში სამხედრო მომარაგება. ეს რასაკვირველია არ გამოეპარა რომის პროკონსულს მცირე აზიაში, კორბულონს, რომელიც უგზავნის ფარსმანს საგანგებო ელჩს რომის მოთხოვნილების წარსადგენად. ეს ელჩი არის სომხეთიდან განდევნილი რადამისტი, შვილი ფარსმანისა. ის დიდი ხანია არავის უნახავს, ყველას მკვდარი ჰგონია. წარუდგება მეფეს სადარბაზო წვეულებაში როგორც რომაელი, და განუცხადებს:

«ერი, მეუფე მეფეთა, ყველას ჰგანაგებს რომელი,
ერი, რომლისა სახელით თქვენს წინაშე ვარ მდგომელი,
მიხვედრილია იგი თქვენს იდუმალ მისწრაფებასა,
და თქვენ გიცხადებს, მეფეო, თავის უმაღლეს ნებასა.
რომმა იცის ყველა თქვენი გმირობა და გამარჯვება,
სახელოვან გმირთა შორის თქვენ გეკუთვნის ქებათ-ქება;
რომის ერსა თვით უნახავს გამარჯვება ბევრჯერ ასი,
განცვიფრებით თქვენ გიყურებს, კარგათ იცის თქვენი ფასი.
მაგრამ თქვენცა კარგად იცით—მის ძლევასა არ აქვს ზომა,
შეიბრალეთ თქვენი თავი, აირიდეთ მისი წყრომა.
სომხეთი, იცით, რომისა თითქმის რომ ქვეშევრდომია,
როცა საკითხი ტახტის ჰდგა, გარდამწყვეტელი რომია.
მიუხედავათ ამისა, კავკასის მთებით მავალი
ფაზისსა უახლოვდება თქვენი მხედრობა მრავალი,
ჯარსა მოუცავს უამრავს მტკვრისა ველი და ბაღები,
კორდებზე დროშა ფრიალებს, სამხედრო ბაირაღები.
რომს არ უნდა, მოეწყინა ეს მზადება საომარი,
ამისთანა მუქარასა დაჩვეული ის არ არი.
რომი შეცდა, ვინაიდან ეს უფლება იმას ჰქონდა,
თქვენი ძლევის შეჩვევება დროზე რომ არ მოაგონდა:
ტიგრანსა არ მიეშველა, მიატოვა მან მედია,
მაგრამ სომხეთს ვერ დაგითმობს!.. ლაპარაკი ზედმეტია.
ამიტომა მე გიცხადებ—ამას ითხოვს კეისარი:
არაქსისა ხეობისკენ არ წასწიოთ თქვენი ჯარი.

ასეთია რომის მოთხოვნილება. ფარსმანის გადაწყვეტილება კი სულ სხვაა: სომხეთი ან უნდა იყოს თავისუფალი ბუფერი საქართველოს და რომის იმპერიას შუა, ან ბრძოლა ეხლავე უნდა იქმნას გადატანილი სომხეთის გადაღმა, თვით რომის სამფლობელოში. აი რა პასუხს აძლევს მრისხანე მეფე რომის ელჩს:

ფარსმან.

თუმცა ჩემთვის სულ ერთია ეს მუქარა-სიქადული,
მაინც მიკვირს, რომ გქონიათ ენა ეგზომ გაბედული.
როგორ ჰბედავთ, რა პირითა, კორბულონის მეომარო,
ჩემს დარბაზში მომახალოთ ეს ბრძანება სამასხარო?
რად ჰგონია ნერონს, როცა დიდებას და ბრძოლას შუა,
რომსაც მგონი დავასწავლე სიფრთხილე და მეტი ჭკუა,
როცა მისი ძლევისა წინ თავსა დღემდეც არ ვიხრიდი,
რად ჰგონია—ელჩისამდი რომ მექნება კრძალვა დიდი?
მე დამიპყრია ქვეყნები, ვძლიე მე უძლეველები,
ბევრჯერ დავუხვდი გმირულად, ვიფრინე რომაელები,
მიმილეწია პართი და მასთან ბევრი სხვა მტერები,
თქვენი ქებული რომისთვის დღემდეც ვერ-მონაგერები.
ამ ერს მედიდურს ეტლითა, ვით საზეიმოდ სჩვევია,
ჩემი სურათი სამასხროდ ჯერე ვერ გაუთრევია;
ჩემი ხმალი კი იმასა ბევრჯერ სირცხვილად ეფეთა,
გული მოვუკალ და ჯავრიც ამოვიყარე მეფეთა.
თქვენ რად მოსულ ხართ? რა არი მიზანი თქვენი შრომისა?
ნუთუ ნერონსა სწადიან გამოცხადება ომისა?
ნუ ცდება: ჩემი ქვეყანა არ არის ისე მდიდარი,
რომ ჰქონდეს იმას ბევრი რამ აქედან გასაზიდარი;
ჩემი ერთგულნი მხლებელნი, ჩემი დარბაზიც, მგონია,
არ ბრწყინვენ სამკაულებით, თქვენთვის რა მოსაწონია?
აქ ბუნება არის ძუნწი, უნაყოფო კლდე და მთები,
მოსავალი მარტოოდენ—რკინაა და მეომრები...
მაგრამ სიტყვა შევამოკლოთ: გამოდის, რომ რომსა უნდა
გადამიჭრას მე ჩემი გზა, მომაყაროს ქვა და გუნდა.
მართლა, რაა მიზეზი, თუ ყველაფერი შეუტყვია,
მისი ჯარი რომ არა სჩანს, ჯერე არც კი შეუყრია?
ნუ თუ თავის ლეგიონებს უკვე თავი დაანება
და ჰგონია ელჩებითა მომაყენოს მეტი ვნება?
ცეცხლით უნდა ჯერ აიკლოს ივერია კიდით-კიდე,
თუ მას უნდა ჩემი ჯარით მე სომხეთში არ შევიდე.
რომაელებს არ შეშვენის ტრაბახი და უქმი ენა,
როცა მე ხმლით გზას ვიკაფავ, მიმავალსა იქითკენა,
უფრო შორსაც... იქნება, მე სომხეთიცა გადავლახო
და ეფრატის ნაპირებზე კორბულონსა შევეჯახო.

ამნაირად პოლიტიკური აზრი ფარსმანისა უკვე ცდება საქართველოს საზღვრებს; იგი ღებულობს მსოფლიო ხასიათს, როცა მეფე-გმირი აცხადებს:

რა მშვიდობა? რისი ზავი?!
დეე—თუნდაც სამარცხვინოდ დაიღუპო შენი თავი—
წადი, ფარსმან, შეეხეთქე, შეარყიე თვით რომი!.. წა!
მის მედიდურ ძალისაგან იხსენ მთელი დედა-მიწა.

ეს განძრახვა მეტად გმირულია და შეიძლება ბევრს მოეჩვენოს—გიჟურიც. მაგრამ არც ისე გიჟი იყო ფარსმან, რომ კარგად არ აეწონ-დაეწონა რომის ძლიერება მცირე აზიაში. მაშინ რომი ჩაბმულ იყო მუდმივ ომში სხვადასხვა ერებთან, ამით სარგებლობდა ფარსმან და აგროვებდა ძალებს, თუმცა იცოდა, რომ მისი საქართველო იყო პატარა და ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყანა. «მოსავალი მარტოოდენ რკინაა და მეომრებიო», ამბობს იგი, მაგრამ დაფასება ამ «რკინის და მეომრების» და დაფასება საერთაშორისო მდგომარეობისა იმას აძლევდა ნებას მედიდურად განეცხადებინა რომის ელჩისათვის:

წადით აცნობეთ კორბულონს: რასაც რომ ბრძანებს ნერონი.
ჩვენთვის საშიში არ არის, არცა საბედისწერონი.

აქ გადაჭარბებული არაფერია. ჩვენ ვიცით ისტორიიდან, რომ ამ ბრძოლიდან ბოლოს გამარჯვებული გამოვიდა ფარსმან. ეს იქიდან სჩანს, რომ ფარსმანს მისივე სიცოცხლეში რომაელებმა აუგეს ძეგლი რომში. ასეთი იყო მათი ჩვეულება: დაძლეულ მტერს ანადგურებდენ, გამარჯვებულს კი პატივსა სცემდნენ მისი გულის მოსაგებლად. ცხენოსანი ფარსმანის ძეგლი დიდხანს ამკობდა ბელლონის საყდარს რომში და აგონებდა ყოველ რომაელს, რომ «ფარსმან, მეფე ივერიისა» დარჩა რომისგან დაუძლეველი.

მაგრამ ეს ერთი მხარეა—პოლიტიკური. არა ნაკლებ საინტერესოა მეორე მხარე—რომანტიული, რომელიც ამ პოლიტიკურ კანვაზე არის ამოქარგული დიდის ხელოვნებით.

ახლად გამეფებულს სომხეთში, ახალგაზდა რადამისტს აუჯანყდება ხალხი სწორედ მაშინ, როცა მან შეირთო თავის ბიძაშვილი მშვენიერი ზენობე. ცოლ-ქმარი გაიქცნენ, მიქრიან ცხენებით, რომ თავს უშველონ; უკან მისდევენ მეამბოხე მხედრები, რომ ხელში ჩაიგდონ უკანასკნელი მეფის მკვლელი და ტახტის უზურპატორი—რადამისტი. ზენობემ ვერ აიტანა ეს გადარეული სრბოლა ცხენებისა. რადამისტმა ვერ დასთმო თავის საყვარელი ცოლი და გადარეულმა სიყვარულით და მდგომარეობით ჩაჰკრა ხანჯალი თავის ცოლს, მერე წაიღო გასისხლიანებული ტანი და გადააგდო არაქსში, რომ ძვირფასი და დაუვიწყარი მეუღლე მკვდარიც კი არ შერჩენოდა მტრებს... ზენობე რაღაც სასწაულით გადურჩა არაქსის ტალღებს; რადამისტი კი გადადის სირიაში, შედის რომის სამსახურში და მალე დაუახლოვდება მცირე აზიის პროკონსულს კორბულონს. .

გადის ათი წელიწადი.

ზენობე შემთხვევით ჩაუვარდება ტყვედ ფარსმანის მეორე შვილს, არზამს, და ამ რიგად თავს ამოყოფს საქართველოს დედა-ქალაქში არტანისში. ეს მშვენიერი ქალი, რომლის ჩამომავლობა არავინ იცის, ყველას ჰხიბლავს თავის სილამა-

რას გვასწავლის ისტორია. *)

II.

მე-19 საუკუნის საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა პოლიტიკური სულისკვეთება ღირსეულად გამოსახა ალექსანდრე ბატონიშვილმა თავისი წერილობითი პასუხში კავკასიის მთავარ სარდლის გენერალ რტისჩევის მიმართ 15 თებერვალს 1813 წ., დაწერილს სოფელ შატილში, ხევსურეთში:

«თქვენ მისაყვედურებთ საზოგადოების დაშლას. ღმერთმა თავიდან ამაცდინოს ასეთი საქმე. პირიქით თქვენ ანგრევთ ქართველ ერის კეთილ არჩევანს. თქვენ ხართბთ ჩვენი დაცემისათვის და უძლურებისათვის, მაგრამ ღმერთი დაცემულთა ამყენია. ნამდვილ ქრისტიანულ სიმართლეზე სჯა ქრისტიანებს ეკუთვნით. რამდენი ათასი სული დაღუპა იროდმა ქრისტე ბავშვის გულისათვის, მაგრამ ქრისტე არ იყო დამნაშავე მათ სისხლში. სთქვით მართალი, თუ სამშობლოსათვის და რჯულისათვის არ იღწვით, თქვენო აღმატებულებავ, მაშ რის გულისათვის იტანთ ამდენ ტანჯვა ვაებას? მე კი მისაყვედურებთ, რომ სამშობლოსათვის და ჩემი ხალხისათვის თავსა ვწირამ. მაყვედრით, რომ მივემხრე ჩვენი რჯულის უძველეს მტრებს და მივდევ მათ. ეს მართალია. მაგრამ თუმცა ესენი ჩვენი მტრებია, მაქვს მათს წრეში თავისუფალი ცხოვრება. ჩვენი რჯულის ამ უძველეს მტრებს არას დროს არ წაურთმევიათ საქართველოსათვის ბაგრატიონთა მეფეთა სკიპტრა. სამშობლოსათვის ფიქრმა-ზრუნვამ ჩემი გული მიაგვარა კლდის ნატეხს. მართალია, დღევანდელი ჩემი ცხოვრება ცხოვრებად არ დაირქმევა, მაგრამ მე არაფრად ვაგდებ ხანგრძლივ ტანჯვის ატანას ჩემი ქვეყნის თავისუფლებისათვის».

ამიტომ არც გასაკვირველია ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ მწარე და მკვახე დახასიათება რუსებისა:

«კახელებო, ღმერთმა დაგიფაროთ, რომ რუსები გაძლიერდნენ. ისინი თქვენ რბილათ გელაპარაკებიან, მაგრამ მათ ბოლოს სიცრუე, ორგულობა და ღალატი გამოუდით. აი ხომ, ჩვენ არაფერში მიგვიძღვის დანაშაულობა რუსების წინაშე, მაგრამ, დახეთ, დახმარების მაგიერ თავდაყირა დაგვაყენეს. გახსოვდეთ, რომ რუსების დახმარება ყველა ქართველისათვის—ციმბირია».

ეს დახასიათება პირდაპირი დასკვნაა მთელ რიგ იმ ისტორიულ მოვლენებისა და ფაქტებისა, რომელიც შეჰქმნა საქართველოში რუსეთმა საერთაშორისო ელემენტარულ უფლების და მორალის მოურიდებელ გათელვით.

ასე და ამ გვარად, ასზე მეტი წლის წინად, «თავის კეთილსურვილისამებრ რუსეთთან შეერთებული საქართველო», ნაბიჯ-ნაბიჯზე და ხიდან-ხემდის სისხლიან ბრძოლით იცავდა საიმპერატორო რუსეთის თვითნებობისაგან თავის სახელმწიფოს უფლებებს, მოქმედობდა, ამბობდა, სწერდა.

მაგრამ ყველა ეს ხდებოდა დაპყრობის და მცირე ერთა დამონების ეპოქაში. ხდებოდა მაშინ, როდესაც დიდ სახელმწიფოთა დიპლომატიის და მილიტარისტების ამოცანაში შედიოდა ყველა საშუალების გზები, თავის მონარქიების გაფართოვება სხვა ერთა მიწა-წყლის და სიმდიდრის მისაკუთრების ხარჯზე, რომლის მიმართულებით იზრდებოდა სიგრძესიგანეში განსაკუთრებით მეფეთა რუსეთი.

ეხლა ასევე მოკლედ, ერთი საუკუნის შემდეგ, გადავთვალიეროთ მთავარი ფაქტები, შექმნილი საქართველოს მიწა-წყალზედ ამავე რუსეთის მიერ.

მათი აღნუსხვა და შედარება მეფეთა რუსეთის ხანაში მომხდარ ფაქტებთან მიგვიყვანს საგულისხმო და საჭირო დასკვნებამდე.

მოლაპარაკება თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს და «საბჭოთა» რუსეთის რესპუბლიკებს შორის თავდება 1920 წ. მაისში რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ცნობით:

1. რადგან რ. ს. ფ. ს. რ.-მ იცნო ყველა ერების უფლება თავისუფალ თვითგამორკვევისა ვიდრე დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე·იმ სახელმწიფოსაგან, რომელშიაც ისინი იმყოფებიან, რუსეთი უდავოდ სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას. თავის კეთილის ნებით ხელს იღებს ყველა იმ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს ქართველ ხალხის და მის მიწა-წყლის მიმართ.

2. ამ წინამუხლიდან გამომდინარე აღიარებულ პრინციპების თანახმად, რუსეთი მოვალეობს არ ჩაერიოს საქართველოს შინაურ საქმეებში.

ეს მეორე ისტორიული ხელშეკრულობა რუსეთთან, ქართველ ერის სუვერენულ უფლებების კატეგორიულის ცნობით, წააგავს თავის წინაპარის 1783 წ. ტრაქტატს, რომელშიაც საქართველოს მონარქია ბაგრატიონთა ტახტით, თანდაყოლილი სახელმწიფოებრივი ყველა რეგალიებით, რჩებოდა საქართველოს «უკუნიდან უკუნისამდე».

ასევე წააგავს ერთმანეთს ბედიც ამ ორივე პოლიტიკურ ხელშეკრულებისა საქართველო-რუსეთ შორის დადებულისა. განსხვავდებიან მხოლოდ დროითა. რუსეთის მონარქიამ გააუქმა საქართველოს სახელმწიფო ხელშეკრულობის დადების 17 წლის შემდეგ.

რუსეთის «კომუნისტურ» რესპუბლიკამ დაიპყრო თავისუფალი საქართველო, ხელშეკრულობით «უდავოდ» ცნობილი, ათი თვის შემდეგ... საქართველოს ოკუპაციის ოფიციალური საბუთი საბჭოთა რუსეთისა გამოძახილია ძველისა: საქართველოს სისუსტე, რომელსაც არ შეუძლიან წინაღუდგეს რევოლიუციურ რუსეთის სამტრო ძალების დაგროვებას თავის ტერიტორიაზედ და აგრეთვე მისი შინაური პოლიტიკის მიმართულება, რომელიც ემუქრება საქართველოში მობინადრე ხალხის—მუშა-გლეხების მშვიდობიანობას და კეთილდღეობას (გაიხსენეთ გენ. კნორინგის და იმპერატორ ალექსანდრე I ნათქვამი).

ნამდვილი მიზანი კი საქართველოს ხელახალი დაპყრობისა გულახდილათ აღიარებული იყო კავკასიის წითელ არმიის სარდლის ეგოროვის წერილში, დაბეჭდილს თბილისის გაზეთ «ზარია ვასტოკა»-ში 1921 წ. ეს თვალსაჩინო პირი რუსის წითელ მხედრობისა ამ წერილში აღტაცებით ეგებება კავკასიის დაჭერას, სთვლის ამ ფაქტს რუსეთის «წითელ ოქტომბრის» უდიდეს მონაპოვრად, რომელმაც რუსეთის რევოლიუციას დიდათ მნიშვნელოვანი ამიერ კავკასიის პლაცდარმი ხელში ჩაუგდო. თვით «სოციალისტურ რევოლიუციის გამარჯვების მომწყობი» ლევ ტროცკი, ყველა თავის ნაწერებში, რომელიც შეეხება საქართველოს და კავკასიის დაკავებას, ასევე გარკვეულად ანგარიშობს მის სარგებლობას და იმედოვნებს რუსეთის «სოციალურ» რევოლიუციის აზიურ ქვეყნებისაკენ გადასროლას. (შეადარეთ ეს სოციალისტური აღსარებანი რუსეთის ახალ ბატონებისა იმპერატორ პეტრე I-ის პროგრამასთან).

საქართველოს ოკუპაციის პირველ დღეებიდან მოსკოვი ქვეყნის სათავეში აყენებს ქართულ მართველობას, შემდგარს მცირე წრის ქართველ კომუნისტებისაგან («უმაღლესი ქართულ გამგებლობის» დაწესება საქართველოს 1801 წ. ანექსიის შემდგომ).

1922 წ., საქართველოს ოკუპაციის წლის თავზე, დაშინებულმა მოსალოდნელ სადემონსტრაციო გამოსვლებით, მოსკოვმა ჩააგდო ჩეკის ბნელ სარდაფებში 3,000 პოლიტიკური ქართველი. დემონსტრაციები მაინც მოხდა. მოსკოვის მთავრობა. უკმაყოფილო ქართულ კომუნისტურ გამგებლობის «ზომიერებით», რომელსაც უწოდებს «უკლონისტების» სახელს, მალე ერეკება მას (ბედი «უმაღლეს ქართულ გამგებლობისა» იმპერატორთა ხანაში). მოსკოვის დაკვრითი პოლიტიკურ ამოცანაში შედის «ამომარგვლა შოვინიზმისა და ნაციონალიზმისა საქართველოში და თვით «საქართველოს კომუნისტურ პარტიის» წიაღიდან».

პირველ და უმთავრეს ზომად ითვლება თვით საქართველოს წაშლა, როგორც განსაკუთრებულ პოლიტიკურ ერთეულისა. შესაფერ განკარგულებით მოსკოვის მთავრობა ამ ზომას მალე ანხორციელებს და საქართველო იმალება მოსკოვის ხელით შექმნილ «ამიერ კავკასიის ფედერაციაში», და სრულიად ამოიშლება ახლად აღმოცენებულ ს. ს. ს. კავშირის პოლიტიკურ რუქიდან.

ამიერიდან საქართველოს და კავკასიის მთავარგამგებლების როლში კვლავ გამოდის ახალი წყება კავკასიის რუს ჯარების მთავარ სარდლებისა, რომელთა შორის თავს იჩენს ტერორისტულ სიმხეცით, «კავკასიის სამხედრო რევოლიუციურ საბჭოს თავმჯდომარე», მოსკოვის მთავრობის ყურმოჭრილი ყმა, ლენინის მოწაფე, გვარად ქართველი, სერგო ორჯონიკიძე. მას გვერდს უმშვენებენ «კავკასიის წითელ რუს არმიის შტაბი» და «კონტრევოლიუციასთან საბრძოლველი საგანგებო კომისია—«ჩეკა» (ფოტოგრაფია წარსულისა: პეტერბურღის მორჩილი თ-დი პ. ციციანოვი თანამშრომლებით—«კავკასიის სამხედრო შტაბი» და «სასამართლოსა და დასჯის ექსპედიცია»).

მოსკოვის ინსტრუქციის თანახმად, «ჩეკამ» დაიწყო სასტიკი დევნა, დაჭერა და გადასახლება რუსეთში პოლიტიკურ ქართველობისა.

ამ მოურიდებელ «ცვლილებების» შემდეგ ყველა ქართულ პოლიტიკურ პარტიებისაგან» სდგება აქტიური «საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი», რომლის პირით ქართველი ხალხი მოითხოვს რუსების საოკუპაციო ჯარების დაუყონებლივ გაყვანას. წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრება ოკუპაციას იარაღით გამოსვლებს.

რუსეთის ბოლშევიკურ მთავრობის პასუხი, გადმოცემული მის გამოძახილით თბილისის კომუნისტურ გაზეთებით, სტერიოტიპული განმეორება იყო გენ. კნორინგის ალექსანდრე I-დმი შეთვლილისა: «რა წამს წითელი რუსის ჯარი საქართველოდან ერთი ნაბიჯით უკან დაიხევს, ანარქიის ცეცხლი იმ წამსვე მოედება ამ ქვეყნის მიწა წყალსაო».

რუსეთის წითელი არმია, რასაკვირველია, დარჩა საქართველოში. პოლიტიკური დევნაც ქართველებისა გამძნვარდა. ქართველების მასსიურად დაჭერა, ციხეებში ჩაყრა და

---

*) იხ. გაზ. «დამოუკიდ. საქართველო» № 9 1926 წ.

ზით და განათლებით. იგი შეუყვარდება არზამს, შეუყვარდება მამა-მის ფარსმანსაც, და ორივეს უნდა მისი შერთვა. ამ დროს ჩამოდის არტანისში რომის ელჩი. ეს ელჩი არის თვით რადამისტი, რომელსაც აქ არავინ იცნობს და ყველას მკვდარი ჰგონია.

ამ ნაირად არტანისში იკვანძება ყველა ძაფი—პოლიტიკური და რომანტიული. აქ მოხდება შეჯახება ორი პოლიტიკის—საქართველოს და რომისა. აქ მოხდება შეხვედრა ორი პირის—რადამისტის და ზენობესი... წარმოსადგენია, თუ რა დრამატიზმით უნდა იყოს სავსე ეს შეხვედრა.

შინაარსი ამ თხუზულებისა კრებიონს ამოღებული აქვს რომის ისტორიკოს ტაციტუსისაგან, რომელსაც მოთხრობილი აქვს ამბავი ფარსმან მეფის, რადამისტის და ზენობესი (Annales, წ. XII, თ. XLV-LI). ისტორიკოს ტაციტუსი (55-120 წ. ქრ. შ.) თანამედროვე იყო ფარსმანისა და მისი გადმოცემა რა თქმა უნდა არ არის ლეგენდა.—კრებიონის თხზულება, ყველა კრიტიკოსის აზრით, მშვენიერი ნაწარმოებია. ვოლტერი აღტაცებული იყო იმით. «კომედი-ფრანსეზის» რეპერტუარიდან იგი არ მოხსნილა 118 წელიწადს (1711-1829).

თვით პოეტ კრებიონზე (Jolyot de Crébillon) ბევრი არა მაქვს რა სათქმელი. ის დაიბადა დიჟონში 1674 წ. და გარდაიცვალა პარიზში 1762. იყო წევრი აკადემიისა. დასწერა რვა ტრაგედია, იმათ რიცხვში ყველაზე უკეთესია «რადამისტ და ზენობე».

ამ თხზულებას მე ვუწოდე «ფარსმან, მეფე ივერიისა», რაც, ჩემის აზრით, უფრო შეეფერება ქართულ თარგმანს, დროს და გარემოებას.

გიორგი გვაზავა.

უცხოეთის მიმოხილვა.

მე-15-ტე კონფერენცია.

«ტან»-ის თანამშრომელმა როლენმა დასწერა, სხ. შ., რომ რუსეთი უკვე შედის, სტალინის მეთაურობით, ტერმიდორის ხანაშიო. ამავე აზრს კიდევ უფრო გარკვევით ქადაგებს ყოველ კვირა დღეს ეპისკოპოზი ბერი ლონდონში: სტალინი, ამბობს ის, რუსეთის გლეხობის სულისკვეთების ნამდვილი გამომხატველია, ის არის «მუჟიკების დიქტატორი» და, მაშასადამე, ქვეყნის მხსნელიცო.

ჩვენ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ამ ორ პატივცემულ პირს: სტალინსა და ბონაპარტეს შორის დიდი ზღვარია, მაგრამ ერთში მაინც მართალნი არიან ისინი: რუსეთში ტრიალებს ტერმიდორის სული და მან ადრე თუ გვიან, უფრო ადრე, ვინემ გვიან, უნდა შეისხას ხორცი, რასაც რეჟიმის საყოველთაო ლიკვიდაცია მოჰყვება. მხოლოდ საეჭვოა, ეს მოახდინოს სტალინმა და მისმა ჯგუფმა, როგორც ვერ მოახდენდა, თავის თავათ ცხადია, ოპოზიციაც, რომლის თვალები წარსულისაკენ იყო მიმართული და კიდეც ამიტომ დამარცხდა. უფრო მოსალოდნელია, ტერმიდორი წალეკს როგორც ერთს, ისე მეორეს, რადგან ორივე მათ ერთი თანდაყოლილი სენი სჭირთ: არა აქვთ წარმოდგენა სახელმწიფოს ნამდვილ მდგომარეობაზე, არც ადარდებს ეს მათ, მზათ არიან ყველაფერი თავიანთ ქვეყნა გრძნობებს უმსხვერპლონ, აკლიათ სიმართლისათვის აღტყინება, გამბედაობა, გულწრფელობა.

რუსეთის უბედურება სწორეთ იმაშია, რომ არა სჩანს ძალა, რეალური საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც შეეძლოს გაკოტრებულ რეჟიმის ლიკვიდაცია და სახელმწიფო საჭეს ხელში აღება. აი, ეს გარემოება აძლევს კიდევ საშუალებას სტალინსა და მის ჯგუფს იბოგინონ და განაგრძონ უპატრონოთ დარჩენილ ვეება სახელმწიფოს ცარცვა-გლეჯა. მე-15-ტე კონფერენციას ახალი არაფერი უთქვამს ამ მხრივ. სტალინი განაგრძობს სოციალიზმის განხორციელებას, რიკოვი მის დასაბუთებას, ხოლო ბუხარინი, ეყრდნობა რა «პროლეტარულ დიქტატურას» შინ, მემაღაროეთა გაფიცვას ინგლისში და სამოქალაქო ომს ჩინეთში, წინასწარმეტყველობს მსოფლიო რევოლიუციის მოახლოებას. ოპოზიციას ეს არ სჯერა, სოციალიზმის საქმე წაგებულად მიაჩნია რუსეთში, მაგრამ აქედან მას ერთად ერთი დასკვნა გამოჰყავს: «თავიდან დავიწყოთო», ე. ი. ნეპმანი, კულაკი ნამეტანი გაგვისუქდა, მოდით, ერთი ჩამოვთალოთო!

სტალინი და მისი ჯგუფი ამაზე ვერ წავლენ, ძალა არ შესწევთ, არც ხალისი. ისინი ოცნებობენ ძალა-უფლების შენარჩუნებას ძველი საშუალებით, ძველი მეთოდით: სიტყვით მარცხნივ, საქმით მარჯვნივ. უნდა ველოდეთ, რომ საქმე გადააჭარბებს სიტყვას: რუსეთის ბურჟუაზიიულ წყობილებაზე გადასვლა უფრო ჩქარის ნაბიჯით წავა წინ და იმავე დროს ქვეყნის გაბიაბრუება რევოლიუცური ჩმახვით ნამდვილ ისტერიულ სახეს მიიღებს. ეს მით უფრო რომ სტალინი დარწმუნებულია და ბუხარინიც კვერს უკრავს მას, რომ კაპიტალისტურ იმპერიალიზმის ინტერვენციას ვერ აცდებიან. დემაგოგებს მეტი არაფერი დარჩენიათ, ასე უნდა აბრიყვონ ხალხი. სამხედრო შეტაკება არ არის გამორიცხული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი განაგრძობს თავის დამრღვევ მუშაობას გადაღმა. ევროპას არ ეჭივრება სხვაფრივ იარაღს მიმართოს, ის მშვიდობიანათ იპყრობს რუსეთს და გადააქცევს მას თავის კოლონიად, თუ შინაური გადატრიალება არ მოხდა.

არჩევნები ამერიკაში.

დიდის იმედებით შეჰყურებდა ევროპა შეერთებულ შტატებში მომხდარ არჩევნებს. ხუმრობა როდია, მთელი ევროპა გმინავს მძიმე დავალიანების ქვეშ, უმთავრესი კრედიტორი კი ამერიკა არის. და ამ კრედიტორს ხშირათ ახასიათებენ და ხატვენ ჟურნალებში შეუბრალებელ შევლოხად. კულიჯის მთავრობა და რესპუბლიკანური კონგრესი მართლაც დიდ სისასტიკეს იჩენენ ევროპის მიმართ ვალების საკითხში და კიდეც აიძულეს სახელმწიფოები მოეწესრიგებიათ და დაეწყოთ მათი გადახდა. დარჩა მარტო საფრანგეთი, რომელიც, მიუხედავათ საზოგადო აზრის წინაალმდეგობისა, იძულებული იქნება დაადასტუროს უკვე მიღწეული შეთანხმება. ისიც უნდა ითქვას, ამერიკამ დაუკლო საგრძნობლათ ყველას როგორც თავნში, ისე სარგებელში, მაგრამ რასაც მოითხოვს, ისიც მრავალ მილიარდ დოლარებს შეადგენს, და გაწერილია 60-70 წელიწადზე, რომლის განმავლობაში ევროპა ვალდებულია იხადოს. საინტერესოა, ამერიკა მორალურ მოტივებსაც მიმართავს თავის ქცევის გასამართლებლათ: ვალის გადახდით ევროპა გაჯანსაღდებაო!

აქედან ცხადია, ევროპას სურდა რესპუბლიკანურ პარტიის დამარცხება და დემოკრატიულ პარტიის გამარჯვება არჩევნებში. ამით ის იმედოვნებდა, რომ მეორე მიზანსაც მიაღწევდა: ამერიკა ერთა ლიგას დაუბრუნდებაო. დღეს-დღეობით მდგომარეობა ახირებულია: ერთა ლიგა დაარსდა ვილსონის თაოსნობით, ხოლო ამერიკა მის გარეთაა!

არჩევნები, თუმცა არ ამართლებს ევროპის იმედებს, მაგრამ ერთგვარი გადახრა მაინც მოხდა აქეთკენ. რესპუბლიკანელებმა ძლივს შეინარჩუნეს პალატაში უმრავლესობა, ხოლო სენატში სულაც კი დაჰკარგეს იგი. მართალია, არც დემოკრატებს აქვთ სენატში უმრავლესობა, მაგრამ ფიქრობენ, რომ შვიდიოდე რადიკალი-სენატორი მათთან იქნებიანო. სენატს გადამწყვეტი მდგომარეობა უჭირავს საგარეო საქმეებში; კულიჯი ცუდ გუნებაზე უნდა იყოს, რადგან მას არ ექნება თავისუფალი ხელები, როგორც იტყვიან. საშინაო პოლიტიკაშიც ვერ გრძნობენ თავს გამარჯვებულათ რესპუბლიკანელები, რადგან მათი «მშრალი რეჟიმი» ანუ დამთრობ სასმელების აღკრძალვა დიდ ცენტრებში, როგორც ნიუორკია, დამარცხდა.

მუშათა პარტიის გამარჯვება.

რაც დრო გადის, მტკიცდება, რომ ინგლისი უბრუნდება ორ პარტიის სისტემას, იმ განსხვავებით, რომ ლიბერალების ადგილს მუშათა პარტია იჭერს. აღსანიშნავია, რომ ამის წინანდელ თემთა პალატაში ტრავაისტებს პირველი ალაგი ეჭირათ, ხოლო კონსერვატორებს—მეორე, რასაც შედეგად მაკდონალდის სამინისტრო მოჰყვა, რომელმაც თითქმის ერთი წელიწადი იარსება. ამ დროიდან ლიბერალები სულ უკან-უკან მიდიან. ამის ერთი მიზეზთაგანი ისიც იყო, რომ მათ ორი თავი გაუჩნდათ და მეტოქეობა მათ შორის ძალიან ვნებდა პარტიის მთლიანობასა და გავლენას. ეხლა ერთი მათგანი ლორდი ასკვიტი გადადგა ლიდერობისგან, მაგრამ ვერც ლოიდ ჯორჯი იძლევა გარანტიას, რომ ახალ სულს ჩაუდგამს პარტიას. პირიქით, პიროვნულათ ის ნაკლებ მისაღებია პარტიისათვის, ვინემ ასკვიტი: მისი დაუდეგრობა, ორპირობა, დემაგოგობა ცნობილია.

ზევით თქმული დაამტკიცა მუნიციპალურმა არჩევნებმა ინგლისში. გამარჯვება მთელს ხაზზედ მუშათა პარტიას ხვდა წილად, სამაგიეროთ ბევრი ადგილი დაჰკარგეს კონსერვატორებმა და მათზე მეტი—ლიბერალებმა. თვით დამოუკიდებელი პარტია, რომელიც მხოლოდ ადგილობრივ თვითმართველობისთვის არსებობს და პოლიტიკაში არ ერევა, ვერ აცდა ორი უკანასკნელის ხვედრს. და რაც მათ დაჰკარგეს, მიემატა ტრავაისტებს, ასე რომ ესენი ეხლა ბევრი დიდ ქალაქების ბატონ-პატრონი ხდებიან (ლონდონში და ზოგ სხვა ადგილას არ მომხდარა არჩევნები). თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ინგლისში ჩვეული არიან ნაწილობრივი არჩევნებით განსჭვრიტონ მომავალ საერთო არჩევნების შედეგები, იჭვს გარეშეა, მუშათა პარტიის დღევანდელი გამარჯვება ბევრს მომავალ გამარჯვების წინამორბედად მიაჩნია და უკვე მიმართავს ბოლდვინს მოთხოვნით, დაითხოვოს თემთა პალატა.

კონსერვატორების დამარცხებას ყველაზე უფრო «შავმა გაფიცვამ» შეუწყო ხელი. ბოლდვინის უმოქმედობა, პილატესავით ხელის დაბანვა, როცა ქვეყანა დიდ კრიზისს განიცდის გაფიცვის გამო, მთავარი მიზეზი იყო ამრჩევლების მისგან გადადგომისა. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ წინა ნომერში, რომ მუშათა პარტიას საკმაო იარაღი რჩება ხელში სხვა ფორმით გადაუხადოს პატრონებს გაფიცულთა დამარცხებათქო, ისინი ხომ მეტ ნაწილათ კონსერვატორები არიან.

რიჩიოტი გარიბალდი.

მთელი ევროპა სახტათ დარჩა იმის გაგონებაზე, რომ დიდი გარიბალდის ძმის წული რიჩიოტი მუსოლინის პროვოკატორი აღმოჩნდა. კეთილშობილება გავალებს—იტყვიან, და გარიბალდის გვარის მატარებელნი წარმოდგენილნი იყვენ ისეთ უმწიკვლო არსებად, რომელნიც არას გზით არ ჩაიდენდენ რასმე ჩირქის მომცხებს. მოხდა წინააღმდეგი და ისიც საფრანგეთში, რომლისადმი მეგობრობა ყველაზე უწმინდესი ტრადიცია იყო მათი შთამომავლობისათვის. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ აღელვებასა და შეძრწუნებას ყველაზე უფრო საფრანგეთში აქვს ადგილი.

რუსეთში გადასახლება სისტემატიურ ხასიათს ღებულობს. ქართველთა მოთმინების ფიალაც გაივსო...

ამიერიდან საქართველოში დგება ხანა შეიარაღებულ გამოსვლებისა.

ყველაზე უწინ აჯანყდნენ ქართველი მთიელნი—თავისუფალი სვანები.

1921 წლის მიწურულში ჩამოვიდნენ მთებიდან, დაეცნენ რუსის ჯარს და გაანიარაღეს იგი. მაგრამ რუსების ძლიერ მაშველ ჯარების და ჰაეროპლანების მოსვლის შემდგომ დაბრუნდნენ მთებში. მათს შემდეგ შეიძრა ხალხი კახეთში და ქართლშიაც.

1922 წ. თებერვლიდან, როდესაც მოსკოვის მთავრობამ ჩაყარა ციხეებში მრავალი ქართველობა, მათს შორის ბევრი გლეხობა, კახეთი გაივსო პარტიზანთა რაზმებით. რაზმები გაჩნდნენ ქართლშიაც. ყველა შეიარაღებული. საქართველოს პარტიზანთა რაზმების სათავეში სდგება ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მისი პარტიზანები იბრძვიან ქიზიყში, ლაგოდეხთან, ყვარელთან, თელავთან, თიანეთთან ქართლში—დუშეთთან, მუხრანთან, ცხინვალთან.

აგვისტო-ენკენისთვეში 1922 წ. იფეთქა ამბოხებამ დუშეთ-თიანეთ-თელავის მხარეში, რომლის ბაზად, განმეორებით, ისტორიული ხევსურეთი გადიქცა. აქაც უსაღსრობა და ძალთა შესამჩნევი უთანასწორობა აიძულებს აჯანყებულთ შეავიწროვონ მოქმედების სფერო. მიუხედავათ ამისა ბრძოლა თვეზე მეტი გრძელდება. გარშემორტყმული რუსულ 19.000 რეგულიარულ ჯარითა, მიბჯენილ ხევსურეთის მთებს, რომლის ჩრდილო გადასავალ გზებს ემუქრებიან დაჭერით ქ. გროზნიდან წამოსული რუსის პოლკები, ჩოლოყაშვილი განგებ ჰფანტავს თავის გაწვრთნილ პარტიზანებს და თვით ერთი მუჭა ვაჟკაცებით არღვევს მტრის რკინის სალტს და გადის სამშვიდობოზე.

გამარჯვებულ რუსების ზეიმი დიდი იყო. პოლკოვნიკ როსტომ მუსხელიშვილის, მაშინდელ ქართულ დივიზიის შტაბის უფროსად ნამყოფის, გადმოცემით, კავკასიის წითელ არმიელთა და მთავრობის მეთაურთა შიში უსაზღვრო ყოფილა, იმის მოლოდინში, რომ ეს მოძრაობა მთელს ჩრდილო კავკასიასაც მოედებოდა და ამ შემთხვევაში წითელ რუსეთის საქმე საქართველოში წაგებულად ითვლებოდა.

რუსეთის შურისძიების სიმკაცრეც უდრიდა ამ ატანილ შიშს. შევარდნილმა საქართველოს ულარიბეს და დამშეულ კუთხეში—ხევსურეთში, რუსებმა ხელმეორედ იყარეს თავისი ჯავრი. არტილერიამ გაანადგურა მეამბოხეთა სოფლები, რომელიც შემდეგ დაანგრიეს და დაწვეს ქვეითა რუსის რაზმებმა. ცეცხლით და მახვილით დაიარეს მრავალი სხვა სოფელიც. გზა და გზა ხვრეტდნენ მშვიდობიან გლეხებს. კახეთში გლეხობას მასიურად იჭერენ და აგზავნიან ციხეებში. თბილისის, თელავის და სიღნაღის ჩეკის სარდაფებიდან გამოჰყავთ მძევლები და იქვე ჰკლავენ.

«ბანდიტები, რომელნიც საბჭოთა ხელისუფლებას იარაღით ხელში აღუდგნენ, სასტიკად დასჯილნი არიან. საქართველოს მუშა-გლეხთა მშვიდობიანი ცხოვრება აღდგენილია», აუწყებდნენ ქვეყნიერებას მოსკოვის მთავრობის ოფიციალური ორგანოები (აქ მოგაგონდებათ გენერალ რტიშჩევის 1813 წ. მოხსენება იმპერატორ ალექსანდრე I-ღმი: «მეამბოხენი, რომელნიც თქვენი უდიდებულესობის იარაღს წინ აღუდგნენ, სასტიკად დასჯილნი არიან... ხევსურთა ოცი სოფელი ქცეულია ნაცრად... დაინგრა ის საშინელი შეთქმულობა მთიელთა ხალხებისა, რომელიც ემუქრებოდა საქართველოს მშვიდობიანობას»).

1923 წ. დასაწყისში ქ. თბილისში მოსკოვის აგენტებმა ქართველ პატრიოტების შეთქმულობა აღმოაჩინეს... გაუსამართლებლივ მოკლეს 15 გამოჩენილი სამხედრო და საზოგადო ქართველი მოღვაწე. იმავე წლის მარტში გურულებმა მოჰკლეს ახდილ ბრძოლაში ვილაცა მხეცი ტერორისტი ობოლაძე, რომელიც აწიოკებდა გურულებს. ხვრეტდა და სწვამდა სოფლელ ხალხს. მოსკოვის ჯალათებმა სამაგიეროდ გამოიყვანეს ღამით, დამწყვდეული თბილისის ჩეკაში, 92 გურული გლეხი, მუშა, მათ შორის ქალებიც, მასწავლებლები, და ერთბაშათ დახვრიტეს.

საქართველოს ყველა სოფლების სახლებიდან ათასობით ქუჩაში გამორეკეს შიშველ-ტიტველი სოფლის ინტელიგენცია. კვლავ მიჰყვეს ხელი დაჭერებს, მოწინავე ქართველების გადასახლებას თურქესტანის, ციმბირის და არხანგელსკის საკონცეტრაციო ლაგერში. საქართველო ჩაჩუმდა, მაგრამ ცოტა ხნით, სასიკვდილო დევნით, პირუტყვულ რეჟიმით, ადამიანის და ეროვნულ ღირსების შეგინება-შელახვით და სხვა ამ გვარ სიველურით, რომლითაც ხასიათდება კომუნისტურ რუსეთის პოლიტიკის ბუნება. მიყვანილი სასოწარკვეთილამდე ქართველი ხალხი 1924 აგვისტო-ენკენისთვეში მთლიანად სდგება ფეხზე ტირანიის და ტირანების დასამხობად.

გამოდის უიარაღო, მარტოდ მარტო, უზარმაზარ ქვეყნის და ძალთა წინაალმდეგ იმ დროს, როდესაც რუსეთს ელოლიავებიან და დაეძებენ მასთან მეგობრობას მსოფლიოს დიდი სახელმწიფონი.

ამ ხანად მოძრაობამ იფეთქა დასავლეთ საქართველოში. იწყებს ქართველ მუშათა ცენტრი ჭიათურა-იმერეთი. მას მხარში უდგება გლეხური გურია. თითქმის მთლიანად გამოდის სამეგრელოს ხალხი. უკანანასკნელნი «ნაბიჯ-ნაბიჯზე და ხიდან-ხემდის» მკაცრად ებრძვიან რუსებს. ხალხი შეიარაღებულია... ცულებით, კომბლებით დაპირისპირებული მტრის ჯავშნიან მატარებლებსა და მძლავრ არტილერიასთან.

თბილისი და ბათომი გაცემულია. მოსკოველთა ხელისუფლება, მათ გარშემო და შიგ, წინ და წინ დაგროვილ რეგულიარულ რუს პოლკებით, ჯავშნიან მატარებლებით და ავტომობილებით აჩერებს დაწყებულ ამბოხებას და ჰფანტავს ქართველთა რაზმებს, რომელნიც მოეშურებიან პროვინციიდან და ვერ მოასწრეს გაერთიანება.

დაშინებული ქართველ მოძრაობის ერთსულოვნობით მოსკოვი საჩქაროდ ხსნის რუსეთის დასავლეთ საზღვრებიდან 6 ახალ დივიზიას წითელ არმიისა და ხმელეთით, ზღვით გზავნის კავკასიაში. ჩამოსვლისთანავე ეს რუსული ჯარი აქრობს ქართველ მუშათა და გლეხთა ამბოხებას.

მთელს მსოფლიოს და კაცობრიობას გაგებული აქვს, თუ რა ქელეხი გამართა გამარჯვებულმა მოსკოვმა დამარცხებულ დემოკრატიულ საქართველოში.

დაჰკლეს *) ხუთი ათასი საუკეთესო წარმომადგენელი ქართველ ერისა და მრავალი ახალი ათასი გადაასახლეს ციმბირში... და ამ გადასახლებას შეუჩერებლივ განაგრძობენ დღემდის.

ასეთია მოკლედ და მკრთალად ერთმანეთზე საუკუნით დაშორებულის, ამ ორი ხანის მთავარი ამბები და ფაქტები, შექმნილნი რუსეთის ძალმომრეობით საქართველოში, რომელნიც ერთმანეთს მიაგვანან ფოტოგრაფიული სისწორით.

რას გვასწავლის ამ ორი ხანის ისტორია?

საიმპერატორო და რესპუბლიკანურ რუსეთის სიტყვის, საქმის და მიზნის ერთობას, მიმართულს საქართველოს და ქართველ ერის მოსპობისათვის.

ქართველ ხალხის შეუწყვეტელ ბრძოლის განგრძობს რუსეთთან თავის სამშობლოს გათელილ სუვერენულ უფლებების აღდგენისათვის.

რა წინასწარმეტყველურად ღაღადებენ დღესაც ალექსანდრე ბატონიშვილის ასი წლის წინად ნაანდერძევი: «ნუ ენდობით რუსებს, რადგან მათ ბოლოს სიცრუე, ორგულობა და ღალატი გამოუდით. აი ხომ, ჩვენ არაფერი დანაშაული მიგვიძღვის რუსების წინაშე. მაგრამ, დახეთ, დახმარების მაგიერ თავდაყირა დაგვაყენეს. გახსოვდეთ, რომ რუსების დახმარება ყველა ქართველისათვის—ციმბირია».

საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკამ საქართველოს თავდაყირა დაყენების შემდგომ, მეფეთა ციმბირს, საკუთარი დახმარებაც მიუმატა: ყოველ ქართველისათვის—სამარე.

მაგრამ ქართველ ერის ბრძოლის სიმტკიცის საიდუმლოება სწორედ ამ სამარეშია ჩანერგილი. რაც მეტნი არიან და დიდნი სამშობლოსათვის თავდადებულნი, იმდენად ემატება ბრძოლის ძალა და უნარი ქართველ ერს. სწორედ მაშინ ქართველი ადამიანი «არაფრად აგდებს ხანგრძლივ ტანჯვის ატანას თავის ქვეყნის თავისუფლებისათვის და მისი გულიც «კლდის ნატეხათ» იქცევა. მისთვის, როგორც მითოლოგიურ ანტეისათვის საკმაოა ამ ძვირფას სამარის მიწას ხელი დაადოს, რომ ხელახლავ, ახალის ძალით, ახალი ბრძოლისათვის მზად იყოს...

და ამიტომაა, რომ თანამედროვე ქართველობა ასე ერთსულოვნად, ღრმა რწმენით უპასუხებს მეორეჯერ შემოსეულ რუსეთს:

«თქვენ ხარობთ საქართველოს დაცემისთვის, მაგრამ სიმართლე და ქართველ ხალხის ბრძოლის სიმტკიცე მისი ამყენია».

ქართულ სიმართლისათვის მტკიცე ბრძოლა—ესაა თანამედროვე ქართველ ერის ღმერთი... ეს უდავოა.

როგორც უდავოა ის, რომ ქართულ სიმართლის საბოლოო აღდგენა დღეს იმდენად ახლოა, რამდენად ქართველი ხალხი აზრით და საქმით დაშორდა რუსულ ჭაობს. იმ დიდმა სამარემ, სადაც დღეს განისვენებენ მრავალი ათასი საუკეთესო ქართველ პატრიოტთა ნაშთნი, დახოცილთა ძველ და ახალ რუსეთის თვითმპყრობელთა მიერ, საბოლოოდ თან წაიღო იმედები ქართველთა იმ მცირე წრეებისაც, რომელთაც სჯეროდათ «მოკავშირე» მეფეთა, თუ «მეგობარ» კომუნისტთა რუსეთის კეთილშობილი, უანგარო განზრახვები საქართველოს და ქართველ ხალხის მიმართ...

დათა ვაჩნაძე.

……

---

*) საქართველოდან გამოსულის გადმოცემით, ქართველების მასიურ ხოცვა-ჟლეტის ამ დღეებში, ჩეკის აგენტები, სისხლიან ხელების სიამოვნებით სრესვით ხმა მაღლა ამბობდენ: «ამხანაგებო, მიბრძანდით ყველანი ვაკეში... იქ ქართული ხორცი გირვანქა 2 კაპიკად ფასობს»-ო.

გამოირკვა, რომ რიჩიოტი გარიბალდი დიდის ხნიდან მუსოლინის დაქირავებული აგენტი იყო, აწვდიდა მას ცნობებს საფრანგეთში გადმოხვეწილ ანტი-ფაშისტების შესახებ, გზავნიდა იტალიაში და უგდებდა იქაურ პოლიციას ხელში დაბრიყვებულ პოლიტიკურ დევნილებს და ამისათვის იღებდა სისტემატიურათ დიდ ძალ ფულს. გამოძიება ცხად ჰყოფს იმასაც, რომ მუსოლინზე თავდასხმა მოკვლის მიზნით, რასაც არა ერთხელ ჰქონდა ადგილი, წინასწარ მზადდებოდა იტალიის პოლიციის მიერ და ამაში მონაწილეობას იღებდა რიჩიოტი. ამ საზიზღრობის ერთ-ერთი მიზანი ის იყო, რომ მასალა მიეცა მუსოლინისათვის, საფრანგეთისათვის შარის მოსადებათ, ვითომ აქედან მას უგზავნიან მკვლელებს და სხ. მისი პრესა ხომ მეტს არაფერს აკეთებს.

ესეც არ კმარებულა. აღმოჩდა, რომ მუსოლინის ხელი იყო აგრეთვე ისპანელთა დიდ შეთქმულობაში კატალონიის «განსათავისუფლებლათ», რაიცა ეს არის ჩაშალა საფრანგეთის პოლიციამ. შეთქმულობის მეთაურს იმავე რიჩიოტთან ჰქონია საქმე! აქაც მიზანი ცხადია—ისპანიის გადაკიდება საფრანგეთზე.

უნდა დავსძინოთ ისიც, რომ მოსკოვის ხელიც სჩანს ამ შეთქმულებაში, მისი მეთაური მასია მოსკოვშიც ყოფილა თურმე! გამოძიება ჯერ არ არის დამთავრებული, ჯერ კიდევ ბევრ საინტერესოს აღმოაჩენს იგი, მაგრამ აღმოჩენილიც საკმარისია მთელი ამ საშინელების წარმოსადგენათ. ჩვენ ვამბობდით და ვიმეორებთ, რომ ფაშიზმი ღვიძლი შვილია ბოლშევიზმის: ერთი მეთოდი, ერთი სული, ერთი საქმიანობა.

საბერძნეთი.

თუ დიდ სახელმწიფოში დიქტატურა და ტირანია წლეები მძვინვარებს, პატარა სახელმწიფო ვერ იტანს ასეთ რეჟიმს თვეებიც, და ეს იმიტომ, რომ მისი ასპარეზი ვიწროა, რესურსები—შეზღუდული და ხალხიც უფრო ახლოა ხელისუფლებასთან. გენ. პანგალოსის დიქტატურაც ხანმოკლე გამოდგა და მის მაგიერ ჯარმა კონსტიტუციური გენ. კონდილისი აიყვანა ქვეყნის სათავეში. კონდილისმა, უნდა ითქვას სიმართლე, პირნათლათ შეასრულა დაპირება: გააუქმა დიქტატორის მიერ შემოღებული კანონები და წესები, აღადგინა კონსტიტუცია და მოაწყო კანონიერი არჩევნები. ის არ მალავდა, რომ რესპუბლიკის მიმდევარი იყო, მაგრამ არჩევნები ყველა პარტიებისათვის უზრუნველჰყო ხელისუფლების ჩარევისაგან. ისიც აღუთქვა ხალხს, რომ, როგორც კი ჩაატარებს არჩევნებს, ის დასტოვებს პოლიტიკურ ასპარეზს და ძალაუფლებას გამარჯვებულ პარტიას გადასცემს. არჩევნები უკვე მოხდა და გამარჯვება რესპუბლიკანელებს ხვდა წილად, თუმცა მონარქისტული პარტიაც საგრძნობ უმცირესობას წარმოადგენს. მომავალი დამოკიდებულია იმაზე, შესძლებს თუ არა რესპუბლიკანური პარტია გაამართლოს ხალხის ნდობა. ქვეყნის ფინანსები ერთობ აწეწილია, ოსმალეთიდან გადმოხვეწილთა მდგომარეობა აუტანელია, დამოკიდებულება მეზობლებთან ვერ არის მთლად ნორმალური. ყველა ამ ამოცანებს ხანგრძლივი, მეთოდიური და დამშვიდებული საქმიანობა ეჭირვება, რაისათვის არც ისეთი მოხდენილი პირობებია ჯერჯერობით საბერძნეთში. ამიტომ არ იქნება გასაკვირი, რომ ელინთა ნორჩი რესპუბლიკა ისევ მონარქიად იქცეს. დღეს-დღეობით, როგორც ვთქვით, რესპუბლიკამ გაიმარჯვა და ვენიზელოსს ისევ მიეცა შემთხვევა თავისი უნარით და ნიჭით ემსახუროს სამშობლოს აყვავებას.

* * *

საბჭოთა საქართველოში.

«რა გვიჩვენა გამოცდებმა»

თუ მართალია ის, რომ პრუსია-საფრანგეთის ომი გერმანელმა მასწავლებელმა მოიგო, მართალი უნდა იყოს ისიც, რომ საქართველოს «გასაბჭოებას» ქართველი შეგირდი წააგებს.

ბ-ნი კ. სულაქველიძე თითის წვერებზედ იდგა და ყვირილით გულს გვიწვრილებდა, მოდით, ნახეთ, რას მიაღწიეს ბოლშევიკებმა, როგორ გააბედნიერეს და გაანათლეს ქართველი ხალხიო. მაგრამ ეს ბაქი-ბუქი სადღაც გაქრა, როცა ბ-ნი სულაქველიძე ქართული სკოლის ეგზამენზედ მივიდა. სრული უვიცობა და უსუსურობა! შეგირდებმა, რომლებიც უნივერსიტეტში აპირებდნენ შესვლას, არაფერი იცოდნენ. არ იცოდნენ ალგებრა, არ იცოდნენ გეომეტრია, არ იცოდნენ ფიზიკა. თუ სულაქველიძეს დაუჯერებთ. საბჭოთა აბიტურიენტებმა უბრალო არითმეტიკაც არ იცოდნენ. «მაგრამ მათემატიკურ საგნებს ვინ სჩივის, სწერს გაზეთ «კომუნისტში» ბ-ნი სულაქველიძე—ახალგაზდობამ არ იცის ქართული ენაც!» ამ ფრაზას ბ-ნი სულაქველიძე დუბლეტით ბეჭდავს.—«2.000 კაციდგან არც ერთს ქართულს წერაში ხუთი არ მიუღია.» ერთის სიტყვით—გამოცდებში ჩაიჭრა არა მარტო ესა თუ ის პირი, არამედ აგრეთვე ჩვენი დაბალი და საშუალო სკოლა!»

ესეც თქვენ! აკი საქართველო გავანათლეთო...

ჩვენთვის ამაში ახალი არაფერია. ბოლშევიზმი დიდი ხანია ჩაიჭრა და ჩაიჭრა ყველაფერში. მაგრამ იმ კოხტა კაცისა არ იყოს, სახლში სცემდნენ—კარში არ ამბობდა, კარში სცემდნენ—სახლში არ ამბობდა. კოხტა კაცი დღეს გამოტყდა. რა უყოთ რომ ამას მთელი საქართველო გაიგებს. ბოლშევიკური თავმოყვარეობა აიტანს იმასაც, რომ ამას გაიგებს ქართველი ემიგრაციაც. მაგრამ რას იტყვიან საზღვარგარეთელი დელეგაციები, რომლებიც ასე სამგლე გოჭივით დაეხეტებიან საქართველოში. მიდიან მეტეხის ციხეში და ხედავენ, რომ პოლიტიკური პატიმრები იმის მეტს არაფერს აკეთებენ, რომ ხოტბას უგალობენ ბოლშევიკებს, მიდიან საბავშვო სახლებში და ტყობილობენ, რომ თითო ბავშვს სამი მამა ჰყავს ერთი დახვრეტილის, ან დაჭერილის მაგიერ?

«ჩვენი სკოლა იზრდება!»

და რათა არავინ არაფერი სთქვას, ჩაჭრილი სკოლის ქომაგად ქ-ნი მარიამ ორახელაშვილისა გამოვიდა. ამ ქართველ განმანათლებელის სიტყვით საბჭოთა შეგირდი კი არ ჩაიჭრა არითმეტიკაში, თვით არითმეტიკა ჩაიჭრა საბჭოთა გამოცდებში.

«საბჭოთა სკოლა, ბრძანებს, სულაქველიძის საპასუხოთ დაბეჭდილ წერილში, ქ-ნი ორახელაშვილისა—ვერ დაკმაყოფილდებოდა მარტო «სწორკუთხოვან სამკუთხედზედ» და «ათწილადებზედ» წრთვნით; ამის საჭიროებას არავინ უარჰყოფს. მაგრამ უფრო მეტი, თუ არა ნაკლები საჭირო იყო ახალგაზრდობის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აღზრდაზედ ზრუნვა»...

განათლებული ბოლშევიკი ბანოვანი, როგორც ხედავთ, საკითხს «ფართოდ» სვამს. მაგრამ რას ნიშნავს ახალგაზდობის ეს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აღზრდა?

ძველი სკოლა ამბობდა: ორჯელ ორი—ოთხია და მეტი არაფერი!

საბჭოთა სკოლა ამბობს: ორჯელ ორი—ოთხი ბოლშევიკია! ბოლშევიკური «საზოგადოებრივ-პოლიტიკური» აღზრდა შეგირდისა ეს არის. მაგრამ რადგანაც არც ამის სწავლაა რიგიანად დაყენებული, საცოდავ საბჭოთა აბიტურიენტს ორჯელ ორი მუდამ ხუთი ბოლშევიკი გამოუდის. არითმეტიკა წაგებაშია, მაგრამ მოგებაშია «საზოგადოებრივ-პოლიტიკურად» თვით ბოლშევიზმი, რადგანაც ყველამ იცის, რომ ხუთი მეტია ოთხზედ.

ქართული სკოლის ზრდას ქ-ნი ორახელაშვილისა ალბად ამას ეძახის. ვინ იცის, იქნება ასეც იყოს! მაგრამ ჩვენ მაინც მომხრე ვართ ისეთი ანგარიშისა, როცა ერთი და ერთი—ორია და ეს ორი ქ-ნ მარიამ და ბ-ნ მამია ორახელაშვილებს არა ნიშნავს.

«რატომ გარბიან ქალიშვილები?»

კითხვა თავსამტვრევია, მაგრამ ჯერ ვიკითხოთ, საიდან? ქალიშვილები, თურმე, «კომკავშირიდგან» გარბიან, სოფელ საგარეჯოს «კომკავშირში» (კომსომოლი) ვაჟებთან ერთად თვრამეტი ახალგაზდა ქალიც იყო. სოფლის პატიოსან გოგოების კომსომოლის კინტო ბიჭებში არევას ბოლშევიკები «სოფლის დედაკაცის საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმას» უძახიან.

ზევით ხომ ნახეთ, რას ნიშნავს შეგირდის «საზოგადოებრივ-პოლიტიკურად აღზრდა»! ეხლა ყური დაუგდეთ, რა არის სოფლის დედაკაცის «საზოგადოებრივ მუშაობაში» ჩაბმა? ერთ მშვენიერ დღეს ამ თვრამეტი ქალიდან თოთხმეტმა დაანება თავი კომკავშირს. რატომ დარჩა კომკავშირში დანარჩენი ოთხი, არ ვიცით, მაგრამ რატომ წავიდა პირველი თოთხმეტი, ადვილი მისახვედრია. კომკავშირში ალბად წმინდა ბოლშევიკური სიძვა დაიწყო და სოფლის პატიოსანი გოგოები გაიქცნენ.

ეხლა «კომუნისტში» ვიღაც ბრიყვი სოფკორი გადმომდგარა და ქართულ პატიოსნებას დარიგებას უკითხავს:

«ასეთ პირობებში კომკავშირის მამაკაც წევრებს განსაკუთრებული სიფრთხილე და წინდახედულობა მართებთ ქალიშვილ კომკავშირელების მიმართ.»

მაგრამ ბოლშევიკ კორესპონდენტს ეტყობა, თითონვე რცხვენია ამ რიგიანი აზრისა და წერილს ასე ათავებს:

«ცხადია, ამით ჩვენ არ გვინდა იმისი თქმა, თითქოს საჭიროა თავდაჭერილობის ერთგვარი «ტიბიკონის» შემუშავება, რომელიც ყოველი კომკავშირელისთვის სავალდებულო იქმნება. კომუნისტური კავშირი მონასტერი არაა და არც «კეთილშობილთა ახალგაზრდობის ინსტიტუტი!»

ამრიგად ორჯელ ორი—ხუთია, კომუნისტური კავშირი მონასტერი არ არის, ქალთან თავდაჭერილობა არ უნდა!.. მაშ რა უნდა, მაშ რა უნდა, შე სახე ძაღლო, ვიტყვით ჩვენც, იმავე საგარეჯოელ გლეხის ენით!

ქართული კომუნისტური ოპოზიცია.

მოსკოვის ოპოზიციის თავსამტვრევ ამბების შემდეგ, როგორც იყო, «კომუნისტში», ქართული ოპოზიციის ამბავიც წავიკითხეთ, გამოტეხილათ ვიტყვით, დიდს არც ჩვენ მოველოდით ამ ოპოზიციიდგან, მაგრამ არც ასეთ უბადრუკობას. ქართული ოპოზიცია ისეთივე მჭლე გამოდგა, როგორც ქართული კომუნისტური პარტია, რომელიც არც არსებობს. ყველაზედ შესანიშნავი ამ ამბავში ის არის, რომ ქართული სინიდისის ჯორი, ბ-ნი ფილიპე მახარაძე, პოზიციის პალოზედ ყოფილა, თურმე დღეს დაბმული. გასაოცარია, რამდენჯერ შეუძლია ამ სულდგმულს ღალატი? ჯერ უღალატა საქართველოს, მერე «უღალატა» მოსკოვს, მერე «უკლონისტებს». სდგას ეს ამხელა კაცი ამ ჟამად და კახიანის და ქართველიშვილის სიტყვებს იცოხნის. სურათი უბადრუკია, თქმაც არ უნდა! მაგრამ მაინც ასე სჯობიან. ისე ვერვინ გაუტეხავს ქართულ პოზიციას სახელს, როგორც მახარაძე. აჯანყების დროს მახარაძე ამბობდა: პარკის ფული დაუგვიანეთ და გლეხები იმიტომ აგვიჯანყდენო. ეხლა მახარაძემ აღარ იცის, რა დაუგვიანეს ისეთი, რომ თვით პარტიაში ხდება აჯაყება. ქართველ გზა აბნეულ ოპოზიციონერებს, რომლებმაც თითონაც არ იციან, რისთვის უნდა აწყობდნენ ოპოზიციას, ასე ვეტყვით:

ქართული ოპოზიცია მარტოოდენ ტროცკიზმისთან სოლიდარობისთვის სისულელეა. მაგრამ ქართული კომუნისტური ოპოზიცია, რომ ტროცკიმ და სხვებმა ერთად დაიპყრეს საქართველო—სიგმირეა და ექვსი წლის განმავლობაში ერთმა ქართველმა კომუნისტმა ვერ გამოიჩინა იგი. კამათი ფილიპე მახარაძესა და მიშა ოკუჯავას შორის, რომელთაგან ერთი პერპეტუელი მოღალატეა, მეორე ლაჩარი—ქართველი ხალხისთვის საყურადღებო არ არის.

* * *

ქართველები გერმანიაში.

ბერლინის ქართულ კოლონიაში.

ნოემბრის 7-ს შესდგა ბერლინის ქართული კოლონიის წლიური საზოგადო კრება, რომელზეც არჩეულ იქნა ახალი გამგეობა: გამგეობის თავმჯდომარეთ ერთხმათ აირჩიეს ბ. გიორგი კერესელიძე, გამგეობის წევრებათ: ბბ. ალ. ფაჩულია, გ. გელაზანია, ნ. ნაკაშიძე და გ. საჯაია, გამგეიბის წევრობაზე კანდიდატათ ბ. რ. მკურნალი. სარევიზიო კომისიაში არჩეულ არიან: ბბ. ი. ირემაშვილი და ვ. ნოზაძე.

* * *

ქართველები საფრანგეთში.

რეზოლიუცია მიღებული ქართული კოლონიის (ასოციაციის) მიერ ოდენკურში 29 აგვისტოს სხდომაზე.

ქართველი ხალხის აჯანყება საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ—ეს ის გამოსვლა იყო, რომელიც შეადგენს ყოველი დაჩაგრული და დამონებული ერის ელემენტარულ უფლებას, უფლებას ბრძოლისა და რევოლიუციისა ფეხ ქვეშ გათელილ უფლების აღსადგენათ.

აჯანყება დამარცხდა ფიზიკურათ, მაგრამ მორალურათ მან გაიმარჯვა, რადგანაც დაანახა მთელ მსოფლიოს, რომ:

1) საოკუპაციო ხელისუფლება საქართველოში და ქართველი ხალხი—ორი მოწინააღმდეგე ბანაკია, რომელთა შერიგება არას დროს არ მოხდება;

2) ბოლშევიკური რეჟიმი საქართველოში ემყარება მხოლოდ ხიშტებს და საქართველოში არ მოიპოვება არც ერთი ძალა, არც ერთი ჯგუფი, არც ერთი კლასი, რომლის თანაგრძნობით და მიმხრობით შეეძლოს მას თავის არსებობის გამართლება;

3) აჯანყებამ გამოაშკარავა აგრეთვე, რომ ერთმანეთს შეეჯახა ორი ძალა: ერთი—მორალური, უკეთილშობილესი იდეებით გამსჭვალული და გმირული თავგანწირვით აღფრთოვანებული და მეორე—ფიზიკური, ტლანქი, გაშიშვლებული, ყოველივე იდეური სამოსელიდგან განთავისუფლებული, მხოლოდ ხიშტებზედ დამყარებული;

4) აჯანყებამ, თუმცა ფიზიკურათ დამარცხებულმა, გაერთიანა უფრო მტკიცეთ ქართველი ხალხი ეროვნული დროშის ქვეშ და ჩაჰბერა მას იმედი გამარჯვების შესაძლებლობის;

5) გაანცალკევა მორალურათ დესპოტიური ხელისუფლება და ყველასათვის დასანახი გახადა მისი ანტი ხალხური და ბარბაროსული სახე.

დღეს უკვე არავისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოებას, რომ ბოლშევიკურ ტირანიას ნელა, მაგრამ თანდათანობით ეთხრება საფლავი, რომელიც დღითი დღე უფრო ღრმავდება. ამ მხრით ისტორია, დრო ჩვენ სასარგებლოთ მუშაობს; ის ჩვენი ერთგული მოკავშირეა.

ჩვენ ვსარგებლობთ შემთხვევას ავამაღლოთ ხმა და გამოვსთქვათ ულრმესი პროტესტი იმ რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც არ კმაყოფილდება იმით, რომ ერს აჰყარა და ფეხქვეშ გასთელა მისი უფლება, არ კმაყოფილდება ინკვიზიციით და ტერორით, არ კმაყოფილდება ქართველი ერის საუკეთესო შვილების დახვრეტით, რომელთა ხსოვნის წინაშე ჩვენ დღეს მოწიწებით მუხლს ვიდრეკთ—ის გადასცილდა საზღვარს, სანამდისაც არ მისულა არც ერთი ბარბაროსული რეჟიმი, არც ერთი ტირანია; ის ამასხარავებს და ფეხ ქვეშ თელავს ქართველი ერის ყოველივე წმინდათა წმიდას: ის იჭრება თავისი ტლანქი და ბინძური ხელებით მეცნიერების ტაძარში და ქართველი უნივერსიტეტის ხელმძღვანელათ აყენებს... თედო ღლონტს, ამ განსახიერებას სრული უვიცობა-უმეცრებასთან ერთად ყოველივე სიმდაბლის, უპრინციპობის, გაიძვერობის და მოღალატეობის.

თედო ღლონტი უნივერსიტეტის სათავეში!—აი სიმბოლო ეპოქის, ეპოქის წამხდარის და გათახსირებულის.

თედო ღლონტი ქართული უნივერსიტეტის რექტორი!.. ეს არის შეურაცყოფა ქართული საზოგადოების, ეს არის უკიდურესი ცინიზმი და ჩვენ არ შეგვიძლია არ გამოვსთქვათ ამის გამო ულრმესი აღშფოთება. მას, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ინაწილებს მთელი ქართველი ხალხი, რომელსაც აღშფოთების გამოთქმის უფლებაც წართმეული აქვს.

ჩვენ ვათავებთ ჩვეულებრივი ჩვენი ლოზუნგით. მაგრამ ეს ლოზუნგი დღეს ისმის არა როგორც განყენებული, უტოპიური და ტრაფარეტული ფორმულა, არამედ როგორც ხვალინდელი დღის რეალობა, რომლის მოახლოვებას, რომლის სუნთქვას ჩვენ უკვე ვგრძნობთ...

ძირს ბოლშევიკური დესპოტია!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

«დამოუკიდებელი საქართველო»

ხელისმომწერთათვის ღირს საფრანგეთში ერთის წლით 20 ფრ., ნახევარი წლით 10 ფრ. სხვა ქვეყნებში—ერთის წლით 25 ფრ., ნახევარი წლით 15 ფრ.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის შემწეობით, უახლოვეს ნომერში მოგვცეთ საშვალება ქართულ ასოციაციის სახელით ოდენკურში, გამოუცხადოთ ულრმესი მადლობა შემდეგ დაწესებულებებს და პირებს, რომლებმაც შემოსწირეს თავიანთი წვლილი ჩვენს წიგნთ-საცავ სამკითხველოს, სახელდობრ:

1. პარიზში არსებულ საქ. სოც. დემოკრატიული ორგანიზაცია—100 ფრანკი. 2. პრაღაში არსებულ ქართველ ემიგრანტთა საზოგადოების გამგეობა—100 ჩეხური კრონა.

გრიგოლ აიოლო 10 კრონა, ნ. მაღალაშვილი-აიოლო 10 კრონა, დ. ემუხვარი 10 კრ., ემ. ლომთათიძე 10 კრ., ლ. ყლენტი 10 კრ., ვ. ქარცივაძე 10 კრ., მ. უბირია 5. კრ., ნ. დოლიძე 5 კრ., ვლ. ინწკირველი 5 კრ., ს. მაღნარაძე 5 კრ., ნ. მგალობიშვილი 5 კრ. და დ. ჩხიკვაძემ 5 კრ.

საჭიროთ მიგვაჩნია აგრეთვე ავღნიშნოთ, რომ პირველ შემომწირველთა სიაში, რომელიც მოთავსებული იყო თქვენი პატივცემული გაზეთის მე-8 ნომერში, გამორჩენილია აგრეთვე შემდეგი გვარები, რომლებმაც აგრეთვე გაიღეს თავიანთი წვლილი: თ. ქართველიშვილი 15 ფრანკი, ალფ. ხომერიკი 10 ფრ., ვ. წილოსანი 10 ფრ., ალ. ჯინჭარაძე 15 ფრ. ნ. ნასიძე 20 ფრ.

სულ წინათ შემოწირულთან ერთად 580 ფრ. და 190 ჩეხური კრონა.

ქართული ასოციაციის სახელით
გამგეობის მდივანი: შ. ქურიძე

ქ. ოდენკური, 1926 წ. 4 ნოემბერი.

* * *

«სახალხო საქმე»

რედაქციამ მიიღო უცხოეთში მყოფ სოციალისტ-ფედერალისტების კომიტეტის გამოცემული წიგნაკი «სახალხო საქმე», რვეული პირველი.

წიგნაკში მოთავსებულია: მეთაური «ამხანაგებს», ს. ფირცხალავას «ოცდა ხუთი წლის შემდეგ», ს. ლეონიძის «ჩვენი საკითხი და საერთაშორისო პირობები», ბეგი გ—იაძის «ეროვნულ კულტურის სადარაჯოზე», ემიგრანტის «სოციალისტური ინტერნაციონალის კონგრესი მარსელში» და ფ. შარაძის «ქართველი ახალგაზდობა».

სწორედ წელს შემოდგომაზე 25 წელიწადი შესრულდა, რაც გადაიდგა პირველი ნიბიჯები საქართველოს სოციალ.-ფედერალისტების პარტიის დასაარსებლად და «სახალხო საქმე» აღნიშნავს ზოგიერთი ფაქტების გახსენებით ჩვენი ეროვნული გათვითცნობიერების საყურადღებო და ძვირფას მოვლენებს.

Rédaction et Administration .
M. J. GOBETCHIA
18, rue des Acacias, Paris.

Arpajon — Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : LARGILIÈRE.